აპრილი
1931 წ.
№ 64

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
MARS
1931—№ 64

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.



ეროვნული გლოვა

ახლად გარდაცვლილი გიორგი ლასხიშვილის სიკვდილი მძიმე და გულითადს მწუხარებას გამოიწვევს ყოველ ქართველში განურჩევლად მიმართულებისა. დარწმუნებული ვართ, მის დაკარგვას მთელის თავის არსებით მწვავედ იგრძნობდა სამშობლო და გლოვა იქნებოდა საერთო ეროვნული. დიდი მამულიშვილი—იგი იყო ერთი პირველთაგანი იმათ შორის, რომელთაც საქართველოს საკითხს მისცეს გარკვეული პოლიტიკური ხასიათი და მისი გადაჭრა დასახეს ჩვენი დროის გარდაუვალ მოთხოვნილებად.

ქართველი ერის სუვერენულ უფლებებისათვის ებრძოდა ის ძველ წყობილებას, რევოლიუციონერი გახდა ყმაწვილობის პირველ დღიდანვე და შეურიგებელი მებრძოლი დარჩა ამ უფლებებისათვის უკანასკნელ წუთამდე: ბოლშევიზმი მიაჩნდა საქართველოს დამღუპველად, მისი ეროვნების, კულტურის და კეთილდღეობის გამანადგურებლად, და ერთს წუთსაც არ დაუდვია ძირს იარაღი მის წინააღმდეგ.

განსვენებული იყო მაღალი რწმენის ადამიანი—მოქალაქე და მასთან მიმზიდავი თავის პიროვნებით—პატიოსანი, პირდაპირი, იშვიათი წმინდა ზნეობის მატარებელი, მუდამ უბრალო, დარბაისელი. მის სახელს, მის დიდ ღვაწლს, მის შეუდრეკელ ერთგულებას და ხალხის ღრმა სიყვარულს არასოდეს დაივიწყებს მშობელი ერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიზანული ბრძოლა კავკასიაში

მარტის ნომერში მკითხველმა წაიკითხა ორი ცნობა ორი სხვადასხვაწყაროდან, რომლის თანახმათ პარტიზანული ბრძოლა ისევ გაჩაღდა საქართველოს და აზერბეიჯანის ზოგიერთ ნაწილებში. ამ ნომერში მკითხველი დაინახავს ახალ ცნობას, საიდანაც სჩანს, რომ პარტიზანთა მოქმედების რაიონი კიდევ უფრო გაფართოებულა. დასახელებულია მთელი კახეთი, დუშეთი, ბორჩალო, ყარაიაზი—ეს საქართველოში, ხოლო აზერბეიჯანში—განჯა, შემახა, ნუხა, ზაქათალი.

ჩვენ უკვე გაფრთხილებული ვიყავით, კარგი ხანია, საქართველოდან, რომ კოლექტივიზაციის განახლებას გამოსვლები მოჰყვებაო, და ეს კიდეც გამართლდა. გამართლდა იმ განსხვავებით, რომ შარშან იმავე კოლექტივიზაციამ ჯერ აჯანყებები გამოწვია აზერბეიჯანსა და სომხეთში და შემდეგ პარტიზანული გამოსვლები დაიწყო. წელს კი მეორე ფორმა უსწრებს პირველს—პარტიზანული აჯანყებისას—და ეს ბადებს კითხვას: რამდენათ მოსალოდნელია პარტიზანული გამოსვლები აჯანყებად იქცეს მთელი ხალხისა ან მისი ნაწილების და მით გამოიწვიოს კოლექტივიზაციის შეჩერება, როგორც შარშან?

ჩვენგან შორსაა აზრი გავკიცხოთ ან ვუსაყვედურო რამე პარტიზანებს. ვიცით ჩინებულათ, თუ რა ცეცხლშია გლეხობა, როგორ გაანადგურეს და ანადგურებენ მას. პარტიზანებიც ხომ ის სასოწარკვეთილი ელემენტებია, ვისაც, გარდა განადგურებისა, მრავალი მისიანები გაუწყვიტეს და თვითონ მათთაც სიკვდილით ემუქრებიან. მაგრამ ამ გარემოებამ არ უნდა შეგვაშინოს წარბშეუხრელათ შევხედოთ სინამდვილეს, რაც უნდა ულმობელი არ იყოს იგი.

და ეს მართლაც ასეა: ჩვენი გლეხობა, მთელი კავკასიის გლეხობა, ულმობელი დილემის წინაშე სდგას: ან უნდა გაწყდეს, ან თავი დაიხსნას გაუგონარ საშინელ მტარვალთაგან. საუბედუროთ, უნდა ვაღიაროთ, რომ პირველი უფრო მოსალოდნელია, ვინემ მეორე, თუ ასე გაგრძელდა! პარტიზანობამ, საეჭვოა, ფართე ხალხური მოძრაობა გამოიწვიოს, მით უფრო ნაკლებ აჯანყება,—ის ხშირათ თან სდევს ამ უკანასკნელს და ისიც მაშინ, როცა იგი, აჯანყება, დამარცხებულია.

ასე იყო შარშან. გლეხთა სტიქიური აჯანყება აზერბეიჯანსა და სომხეთში დიდი ისტორიული ფაქტია, ეს მტერმაც იცნო, მაგრამ ძალთა უთანასწორობა იმდენათ აშკარა აღმოჩნდა, რომ გამარჯვება წინდაწინვე გამორიცხული იყო. დამარცხებას რეპრესიები მოჰყვა, ამას კი «ტყეში გასვლა» ანუ პარტიზანობა, რაიცა გრძელდება აზერბეიჯანში, ხოლო სომხეთში ყუჩდება. ბორჩალოშიც ჰქონდა მას ადგილი, მაგრამ ჩვენი მომქმედი ორგანიზაციები თავის დროზე ჩაერიენ და შეანელეს.

ცოტა რომ უკან დავიხიოთ, ჩვენ დავინახავთ, რომ 1924 წლის აჯანყების წინ, პარტიზანობას ფართე ასპარეზი ეჭირა საქართველოში. მოძრაობის მაშინდელი მეთაური დამკომი და მის ადრე ცალკე პარტიები, გრძნობდენ რა ამ მოვლენის საშიშარ მხარეებს, მართავდენ მოლაპარაკებას პარტიზანების ბელადებთან და ახერხებდენ კიდეც მათ საერთო ფერხულში ჩაბმას და დამოუკიდებელ მოქმედებისგან თავის შეკავებას. ვინ არ იცის, როგორ მჭიდროთ იყო დამკომთან დაკავშირებული ქაქუცა ჩოლოყაშვილი, და აჯანყების მეორე დღეს ის მთლათ შორდება სამშობლოს, რაიცა იმის მომასწავებელი იყო, რომ პარტიზანული ბრძოლის ხანა განვლო საქართველომ.

მაგრამ ეს ხანა განვლილი არ ჰქონდა აზერბეიჯანს, პარტიზანულ გამოსვლებს ფართე ასპარეზი შარშან მიეცა იქ, ბევრი საგმირო საქმეებიც ჩაიდინა, და აი წელსაც ჩაღდება ის და აღმოსავლეთ საქართველოშიც გადმოდის, როგორც ზევითა ვსთქვით.

როგორია აზერბეიჯანელ ხელმძღვანელთა პოზიცია დღეს ამ მოვლენის მიმართ? ჩვენ გვესმის, რომ ისინი, მზგავსათ ქართველებისა, შვიდი წლის წინ, მიდიან იმ დასკვნაზე, რომ პარტიზანობა ორივე მხრივ მჭრელი იარაღია: არის მომენტი, როცა მას სარგებლობა მოაქვს, მაგრამ დგება მეორე მომენტი, როცა მავნებელია. ამიტომ ისინი, ხელმძღვანელნი, უკვე მიმართავენ სათანადო ორგანიზაციებს და თვით პარტიზანებს მათი მოქმედების შესაჩერებლათ და ძალების დასაზოგველათ უფრო ხელსაყრელ მომენტისთვის.

ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, რა ხდება იმ რაიონებში, სადაც პარტიზანები მოქმედებენ: ხელისუფლების აგენტები გამოუთქმელათ აწიოკებენ მოსახლეობას, სძარცვენ, მიყავთ მძევლები, ხვრეტენ, ასახლებენ და სხ. ნუ დავივიწყებთ, გეპეუსთვის პირდაპირ მისწრებაა ასეთი მდგომარეობის გაგრძელება, უამისოთ აბა რით უნდა გაამართლონ მან და მისმა დამქაშებმა საკუთარი არსებობა, ან როგორ შეუძლიათ ხალხის დაურბეველათ გაძლება?

მეტსაც ვიტყვით. ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ მტერთან, რომელიც არაფრის წინაშე არ შეჩერდება: მთელი დაბა-სოფლების მიწასთან გასწორებისგან, დიდი და პატარას ამოწყვეტისგან. განა არ ჩაუდენია ეს, განა ცოტა მაგალითები გვაქვს? ვინაა განმკითხავი? ნუ დავივიწყებთ, ჩვენ პატარა ერები ვართ, მაშ ფიზიკური არსებობაც უზრუნველყოფილი არაა...

არის ერთი გარემოებაც, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. ჩვენ ვართ იმ პრივილეგიურ მდგომარეობაში, რომ ხალხი ნდობით ეპყრობა ჩვენს ორგანიზაციებს და მეთაურებს. საჭიროა, აუცილებელი, რომ ეს ნდობა ბოლომდის შერჩეს მათ. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა გარანტია, რომ ეს ასე იქნება, თუ ხალხი გამწარდა გაუთავებელ აწიოკებითა და ცარცვა-გლეჯით? არ შეიძლება, იმედი გაუცრუვდეს, ზურგი შეგვაქციოს?

შარშან კოლექტივიზაციის შეჩერება გამოიწვია არა მარტო აჯანყებებმა კავკასიაში, არამედ კიდევ უფრო წითელ ჯარში უკმაყოფილებამ. წელს ამ უკანასკნელ მოვლენას ვერ ვხედავთ, გარეგნულათ მაინც. სტალინი მისდევს ლენინის ხერხს: ერთი ნაბიჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკან, ორი ნაბიჯი წინ! მან დაიხია შარშან, ხოლო წელს უფრო ძლიერი იერიშით გადვიდა შეტევაზე. ჩვენ უნდა მოველოდეთ, რომ ამ გაზაფხულის თესვის დროს ის შეანელებს შეტევას, მაგრამ არც ამან უნდა მოგვატყუოს, კოლექტივიზაცია ერთ-ერთი ქვაკუთხედია რეჟიმის.

ერთი სიტყვით, დიდია პასუხისმგებლობა, და ამას კიდეც გრძნობენ ხელმძღვანელნი, როგორც ზევით დავინახეთ. ჩვენ არ შეგვიძლია უფრო კონკრეტულათ მივუდგეთ საკითხს, უცხოეთიდან ძალიან ძნელია გათვალისწინება, როგორ და რანაირათ უნდა მოუარონ ადგილობრივ ამ საჭირბოროტო საქმეს. ერთი მაინც ცხადია აქედან, ეს მძიმე მისსია უნდა იკისრონ ორგანიზაციებმა. მათ უნდა ჩაატარონ მწყობრათ და უმტკივნეულოთ. პარტიზანები, მეორეს მხრით, უაქტივესი მეომარნი არიან, მაშასადამე, მათი შენახვა, გადამალვა შესაფერ ჟამის დაკვრამდე უაღრეს საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს.

საბჭოთა კავშირი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ცენტრალისტური ხდება, ძალა-უფლება დიქტატორის და მისი აპარატის ხელშია დაგროვილი. ასეთ ძალას განაპირა კუთხეთა გამოსვლები ვერას დააკლებს. ამიტომ ვამბობთ, რომ ჩვენი განთავისუფლება თვით საბჭოთა კავშირის საშინაო თუ საგარეო გართულებასთან არის დაკავშირებული, დამოკიდებული საერთო კონიუნქტურაზე...

ჩვენი ორგანიზაციები მოწოდებული არიან ალოო აუღონ ამ საერთო კონიუნქტურას და თვითეული თავისი გამოსვლა შეუფარდონ მის განვითარებას. ძნელია, რა თქმა უნდა, ხალხისათვის პასიურათ გადატანა ისეთი ბარბაროსული ოპერაციის, როგორიცაა კოლექტივიზაცია. ბრძოლა მის წინააღმდეგ ბუნებრივია და აუცილებელიც, მაგრამ ფორმა ამ ბრძოლისა ყოველთვის ერთი და იგივე ვერ იქნება.

უკვე მომწიფდა დრო, როცა საქართველოს ორგანიზაციები უნდა გადაეგან მეზობლების ორგანიზაციებს, შექმნან ადგილობრივ ერთი მძლავრი კავკასიის ფრონტი, რომლის მიზანი იქნება თვითეულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენა და ყველა მათი ერთი დიდი კონფედერაციის ჭერ ქვეშ მოქცევა.

კავკასიის მთლიანი ფრონტი თავის მხრით, იმედი გვაქვს, დაუკავშირდება სხვა ჩაგრულ ერთა ორგანიზაციებს მთელს საბჭოთა კავშირში...

გიორგი ლასხიშვილი

გასული მარტის თვის 15-ს. ღამის თერთმეტ საათზე ტფილისში გარდაიცვალა გიორგი ლასხიშვილი—იშვიათი მებრძოლი და მჭედელი სამშობლოს აღდგენისა, დიდი მამულიშვილი, ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი ორი საუკუნის გადანასკვნზე გამოსულ თავობისა, უკეთილშობილესი ადამიანი, რომელიც თვით მთელ თავის არსებაში ატარებდა ახალს საქართველოს—თავისუფალს, კულტურულსანს, ქონებრივად წარმატებულს...

«მწარეა სიკვდილი, მაგრამ უმწარესია სიკვდილი დაუტირებელი, ცრემლ დაუფრქვეველი»—ასე ვიტყოდით ქართველები წინად ძველი წყობილობის დროს, როცა ერთად ერთი ჩვენი თავშესაკრებელი ადგილი მამულიშვილთა საფლავის გარშემო იყო და იქაც კი ხმაგაკმენდილნი უნდა ვყოფილიყავით, დატირება არ შეგვეძლო და გამწარებული დუმილით ჩვენს გულშივე ვიხჩობდით ნაღველს და კვნესას, ცრემლი შრებოდა და ერთმანეთისღა სახეზე ვპოულობდით უტყვ ნუგეშს, გამხნევებას და იმედს.

აი დღესაც კვდებიან, იღუპებიან საუკეთესო ქართველები და ვერავინაა შემძლებელი მათი დატირების და პატივისცემის—ეს ხომ დანაშაულობაა იქ, სადაც თვით ქართველერის შვილობა კანონის გარეშეა გამოცხადებული. გარდაიცვალა დაღლილი, დაქანცული აუტანელი წყობილებით, საყოველთაო უბედურებით, ერის ტკივილებით, და მდუმარედ მიაცილეს იგიც საუკუნო განსასვენებელს, თავჩაღუნულნი მისდევდნენ კუბოს ჭირისუფლები და ვერავინ უთხრა: საუკუნო მშვიდობით, ვერავინ გადასცა მადლობა ქართველი ხალხის სახელით!

საშინელია აკრძალვა სიხარულის, მაგრამ აკრძალვა გლოვის, მწუხარებისა? ადამიანთა ლექსიკონში არ მოიპოვება სიტყვა ამისთვის მსჯავრის დასადებად!..

მხოლოდ ჩვენ აქ უცხოეთში გარდმოხვეწილთ, განსვენებულის თანამებრძოლთ, თანამოკალმეთ, მეგობრებს, ნაცნობებს, იმათ, ვისაც ერთხელაც არის გვინახავს ის, მოგვისმენია რამ მისი სხვებისგან, შეგვიძლია აქ თავმოყრილად შევაერთოთ ჩვენი ფიქრები და გრძნობები და შორიდან მაინც მიუძღვნათ თავისუფალი გულითადი პატივისცემა და გამოსათხოვარი იმას, ვინც ჭეშმარიტად იყო ძვირფასი ერისშვილი, დიდი ქართველი მოღვაწე, მეტად საყვარელი ადამიანი და ვინც ღირსეულად განვლო თავისი 66 (?) წელი.

გადავავლოთ თვალი მოკლედ მის ცხოვრებას, ჩავუკვირდეთ მისი გზის მთავარ ხაზებს: გიორგი ლასხიშვილი დაიბადა 1865 თუ 66 წ. (საკმაო მასალების უქონლობისა გამო დატებს სისწორით ვერ აღვნიშნავთ, სამწუხაროთ), სოფ. ჯიხაიშში, ქუთ. მაზრაში. სწავლობდა ქუთაისის კლასიკ. გიმნაზიაში და მოწაფეობის დროსვე ჩაითრია საზოგადოებრივმა ცხოვრებამ და გაეცნო რევოლუციონურ მოძრაობას. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა ოდესის უნივერსიტეტში; სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის გადასახლებულ იქნა ციმბირში, სადაც დაჰყო რამდენიმე წელიწადი (სემიპალატ). სამშობლოში დაბრუნდა ათას რვაას ოთხმოცდაათიან წლებში (1893?). ხელი მოკიდა ჟურნალისტობას და გამოდიოდა იმ დროინდელ მოწინავე—პროგრესიულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დემოკრატიულ აზრების გამტარებლად. ჯერ მუშაობდა რუსულ «ნოვ. ობ.»-ში და მერე «ივერიაში» ლალის ფსევდონიმით. 1900 წ. ჟურნალმა «მოამბემ» შეიძინა ვ. გუნიასაგან გაზეთი «ცნ. ფურცელი», რომელიც მაშინ მხოლოდ ახალი ამბების ფურცელი იყო, 1901 წლიდან გააფართოვა მისი პროგრამა, გადააქცია იგი სრულ პოლიტიკურ ორგანოდ და მისი ხელმძღვანელი შეიქნა გ. ლასხიშვილი, რომლის მეოხებით «ცნ. ფურცელი» მალე გახდა მეტად გავლენიანი გაზეთი და უდავო ისტორიული როლი ითამაშა შემდეგ წლებში. გიორგის გვერდში ამოუდგნენ არჩილ ჯორჯაძე და სხვა რადიკალური ახალგაზდობა. ამას მოჰყვა ახალი, სოც.-ფედერალისტების პარტიის დაარსება. გიორგი უდგება სათავეში პარტიას. მართალია, პარტიის აგრე ვსთქვათ თეორიული იდეოლოგი იყო არჩილ ჯორჯაძე, მაგრამ პარტიის პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელი და პარტიის ლიტერატურული მოღვაწეობის მეთაური ყოველთვის გ. ლასხიშვილი იყო. მისიცხოვრება პარტიის ცხოვრება იყო, მისი მოქმედება—პარტიის მოღვაწეობა, გიორგის ახასიათებს—რასაც პარტია წარმოადგენს. ერთის თავგადასავალი მეორეს ჰფარავს. სოც. ფედერალისტების პარტიის მნიშვნელობა ასეთი იყო თუ ისეთი, ეს მიმართულება ჰქონდა თუ ის, ამ ხაზს ატარებდა თუ იმ ხაზს—ეს იყო სულ გიორგის ხაზი და მიმართულება. ის იყო მუდმივი შეუცვლელი თავმჯდომარე პარტიის მთავარი კომიტეტის, თავმჯდომარე საერთო კრებების და პარტიის წარმომადგენელი პარტიათაშორისო თუ საერთაშორისო კონგრესებზე. იგი აძლევდა ტონს პარტიის გაზეთებს და სხვა გამოცემებს. და ეს გეგემონობა, ეს სრული ლიდერობა მას არ დაუტოვებია ერთ წუთსაც 30 წ. განმავლობაში, ის მოკვდა ამ საპატიო პოსტზე, ის იყო პარტიის დარაჯი სულის ამოხდამდე...

აი კიდევ ზოგი ფაქტიური მხარე მისი ცხოვრებისა: 1905 წ. პარტიის დავალებით პარიზში იქნა ფარულად გამოგზავნილი, რომ ხელმძღვანელობა გაეწია ჟურნალ «საქართველოსათვის» და საერთოთ უცხოეთის მუშაობისთვის, ვინაიდგან იქ მყოფი არ. ჯორჯაძე იმ დროს მძიმე ავად გახდა... 1910 წ. გიორგი დაატუსაღა ჟანდარმერიამ სხვა მის ამხანაგებთან ერთად, რამდენიმე თვე მეტეხში იჯდა და იქიდან გადაასახლეს რუსეთში. ცხოვრობდა ხარკოვში, მაგრამ არ ივიწყებდა პარტიას და ხანდახან წერილებს აწვდიდა გაზეთს. 1913 წ. დაბრუნდა ტფილისში, შევიდა ბანკის სამსახურში—ხოლო ფაქტიური ხელმძღვანელი პარტიულ გამოცემების და მუშაობის ისევ იყო მუდამ. უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგის თვალები სტკივოდა და ექიმები უკრძალავდენ მწერლობას. ეს თვალის სისუსტე თანდათან იზრდებოდა, რაც ხანში შედიოდა... დადგა 1914 წ., გიორგიც დიდს ცვლილებებს მოელოდა მსოფლიო ომისაგან. მაგრამ მისი ორიენტაცია, წინაამდეგ ზოგიერთი მისი ამხანაგისა, იყო საფრანგეთის გამარჯვებაზე დამყარებული. მოხდა 1917 წლის რევოლუცია, გიორგი ისედაც მუდამ მხნე, ახლა მთლად გაყმაწვილებული შეყურებდა მომავალს. მისი მისწრაფებების უდიდესი დაგვირგვინება იყო 26 მაისი. გიორგი მიწვეულ იქნა აღდგენილი საქართველოს, თავისუფალ საქართველოს პირველ სამინისტროს განათლების მინისტრად...

განვლო სანეტარო წლებმა. ჩვენს სამშობლოს თავს დაატყდა საშინელი კატასტროფა—გარეშე მიზეზებისა გამო, მაგრამ ჩვენი საკუთარი დანაშაულის დიდის მონაწილეობით. როგორ შეხვდა გიორგი ბოლშევიკების შემოსვლას? მთელი თავის არსებით წინააღუდგა მოძალადეთ—ან კი შეიძლებოდა სხვანაირად? ბოლშევიზმი ხომ სრული უარყოფა იყო გიორგის ბუნების. მის გარშემო შემოკრბა ამხანაგთა ცხრა მეათედი პარტიულ კონგრესზე, რომელიც გაიმართა ოკუპაციის პირველ თვეებში.

1922 წ. თებერვალში გიორგის ბოლშევიკები მეტეხში ჩაამწყვდევენ, იქაა რამდენიმე თვე. მერე გამოუშვებენ, მაგრამ სასტიკად ადევნებენ თვალყურს მოხუცს, რომელსაც ისე დაუსუსტდა თვალები, რომ ქუჩაში მარტო გავლაც კი უძნელდება... აი 1924 წ. აგვისტო: როგორც კი იფეთქა სახალხო აჯანყებამ, გიორგი მაშინვე დაატუსაღეს და ალბად საშინელს ბედს უმზადებდენ. მაგრამ მისმა ერთგულმა ცოლმა, გიორგის ბედით თავზარდაცემულმა—იგი უკვე დაღუპული ეგონა—თავი მოიკლა. ამ ტრაგედიამ ბოლშევიკებიც კი დააფიქრა—გიორგი გაანთავისუფლეს მეგობარ ცოლის დასასაფლავებლად...

ჩვენ—აქ უცხოეთში მყოფთ, რომელთაც შეგვიძლია მყუდროთ დავიძინოთ და მყუდროთ გავიღვიძოთ დილით, არ ძალგვიძს წარმოვიდგინოთ საშინელება მდგომარეობისა სამშობლოში მყოფ ჩვენი მამების, დედების, ძმების, დების, შვილების. გამუდმებული სიკვდილი, სიკვდილი ყოველ წუთს—არა, სიკვდილი კი არა (სიკვდილი ხომ ბედნიერებაა ხშირად): წამება, წამება დაუსრულებელი—ხორციელი, სულიერი, მორალური! პირადი ვაება კი არ კმარობს —ეს ადვილი ასატანია. ხედავ დღემუდამ, ყოველ ჟამს სხვების დაღუპვას—სხვების, რომლებიც გიყვარდა, რომელთათვის ცოცხლობდი. გიორგი ხედავდა —ხედავდა კი არა, გრძნობდა, სუნთქავდა თავის ერს გოლგოთას, მაგრამ რა ჰქნას, როგორ უშველოს? მოხუცმა, ავადმყოფმა, თითქმის ბრმამ! ბოლშევიკები გადაკვრით ეტყოდენ: «გიორგი, შენ ჩვენ წინაამდეგ იბრძვიო». «ოჰ, უპასუხებდა გიორგი: ნეტამც შემეძლოს, მაგრამ ვაი რომ ძვალის და ტყავის მეტი არაფერი შემრჩაო». ამასთან ერთად იგი ამხნევებდა ამხანაგებს, უფრო მეტად ახალგაზდებს ბრძოლისთვის ახალისებდა. გალილესავით ეუბნებოდა: «დედამიწა მაინც ბრუნავსო! საქართველო აღსდგებაო!..»

ასეთია გიორგი ლასხიშვილის უკანასკნელი თვეები. იგი დადნა. მოკვდა. იგი მოკლა არა გაცივებამ, არა ფიზიკურმა სენმა, არამედ ჩვენი ქვეყნის დღევანდელმა ტრაგედიამ...

აი ზოგადად მოხაზული გარეგნული ამბები განსვენებულის ცხოვრების. მაგრამ განა ეს მშრალი ფაქტები დაგვიხატავს და გაგვიცხოველებს მის საყვარელს პიროვნებას? მსგავსი ფაქტებით იგი შეიძლება არაფრით განსხვავდება ჩვენი დროის სხვა მოღვაწეებისაგან? არა, მისი არსების შესაცნობად მარტო მშრალი ამბები არა კმარა—განსვენებული მეტად სრული, მთელი, ცოცხალი ინდივიდუალობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, რომლის გაგება და დაფასება შესაძლებელია მარტო პირადი დაახლოვებით, ნაცნობობით. მეგობრობით, მასთან ურთიერთობის უშუალო განცდით. ის არ ყოფილა წიგნი, განყენებული თეორია, ის იყო სიცოცხლით მფეთქავი არსება ერთი, მთლიანი ყველგან და ყველაფერში. მისი სამშობლოს სიყვარული—უკეთილშობილესი ნაციონალიზმი, მისი დემოკრატიზმი, მისი სოციალიზმი, მისი მორალი, მისი ესთეტიზმიც—ყველაფერი ეს ერთი ძირიდან წარმოდინარეობდა, ერთიმეორეში იყო გადასკვნილი—გადაჯაჭვული, ერთი მეორეს შეავსებდა, ერთი მეორეს ასაზრდოებდა. გიორგიმ არ იცოდა თავის ცხოვრების და მოქმედების დანაწილება, მას არ ქონდა საშინაო და საგარეო პოლიტიკა, პოლიტიკის და მორალის განცალკევება, მისთვის ესთეთიკა-სიმშვენიერე არ წარმოადგენდა პოლიტიკისა და მორალისაგან დაშორებულს სფეროს. ამ მხრივ ჩვენ გ. ლასხიშვილში ვხედავთ სრული ადამიანის იშვიათს განსახიერებას ჩვენში, სანიმუშო ლამპარს მომავლისათვის.

თავის ქვეყნის უსაზღვრო მოსიყვარულე, თავის ერის ქონებრივ-კულტურულ ამაღლების მოტრფიალე, მისი თავისუფლებისთვის მუდმივი მებრძოლი იგი ყოველთვის და ყველასთან პირდაპირს, პატიოსნურ და კეთილშობილურ მეთოდს მიმართავდა. როგორც თბილი, გულითადი, წრფელი იყო თავის პირად მეგობრებსა და ამხანაგებთან, ასეთივე იყო მუდამ გარეშეებთან, უცხოთათანაც. მისი დამოკიდებულება მოწინააღმდეგე პარტიებთან თვით უდიდეს გამწვავების დროსაც არასოდეს მიიღებდა გაბოროტების ხასიათს. სულით და გულით მოწადინე კავკასიის ერების დაახლოვების და ერთობის, ის გამონახავდა საერთო გასაგებ ენას და უკანა რიგში დააყენებდა, რაც იყო გამთიშავი და დამაშორებელი. კავკასიის ერთა კონფედერაციის დღევანდელნი მოღვაწენი გვერდს ვერ აუხვევენ გიორგის გაკაფულს გზას.

მისი დემოკრატიზმი და სოციალიზმი იყო ისეთი, როგორსაც ვხედავთ დღეს ევროპის კულტურულსან ქვეყნებში. აგებული ადამიანის თავისუფლებასა და თვითმოქმედებაზე, და ემყარებოდა, ან უკეთ წამომდინარეობდა მისი ღრმა მამულიშვილობისაგან. დემოკრატია და სოციალისტი მხოლოდ იმიტომ, რომ მისი რწმენით ესაა გზა ქართველი ერის ამაღლების და სრული გაშლა-განვითარების. ხოლო მამულიშვილობა და დემოკრატობაც (სოციალიზმით) მისთვის უმაღლესი მორალის იმპერატივია—თავისუფალი ერი, თავისუფალი ადამიანი, სამართალი ერთა შორის და სამართალი ადამიანთა შორის—ეს ორი მცნება მისთვის განუყოფელია. და თუ ეს ასეა, მაშინ ხელოვნება ხომ უძლიერესი იარაღია სამართლიანობის გრძნობის განსაღვიძებლად და ჩვენ ვხედავთ როგორი თაყვანისმცემელია გიორგი ესთეთიური განვითარების...

დინჯს, ფრთხილს, აუჩქარებელს უყვარდა მოსაზრებული, კარგად აწონილდაწონილი მოქმედება. არ უყვარდა უცბად აპილპილება, უცბად ანთება, რომელსაც ჩვეულებრივ უმალვე ჩაქრობა მოყვება ხოლმე. უკიდურესობას გაურბოდა და პარტიულ მოღვაწეობაში ეჯავრებოდა როგორც უკიდურესი მემარჯვენეობა ისე უკიდ. მემარცხენეობა. განახლებულს სამშობლოსაც ის სიფრთხილეს და სიდინჯეს ურჩევდა, რომ თავიდან აგვეცდინა ყოველი ხიფათი, რომელიც გამზადებული იყო ირგვლივ. მაგონდება ის დრო, როცა ინგლისელებს ბათომის დასაცლელად ვაჩქარებდით. მაშინ საერთაშორისო ვითარებაში ჩახედულნი არ ვიყავით და არ ვხედავდით, თუ რას განგვიმზადებდენ მტრები. გიორგიმ, რომ ხედავდა მაშინდელს ჩვენს საერთო სულიერ განწყობილებას, ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად სთქვა: ნუ კი ვეჩხუბებით ინგლისელებს, კალთაში ხელი ჩავჭიდოთ და ნუ გავუშვებთო. ეს რასაკვირველია არ ნიშნავდა ინგლისელების ბატონებად მოწვევას. მაგრამ ვინ იცის, ეგებ მაშინ რომ უფრო ფრთხილნი და ჩახედულნი ვყოფილიყავით, უფრო სწორ ხაზს დავდგომოდით...

მეტისმეტად სიმპატიური იყო გიორგი კერძო დამოკიდებულობაში: უბრალო, გულითადი, მოსიყვარულე, ნაზი, თავაზიანი, ჭირის და უბედურების გულწრფელი მოზიარე, მწუხარების შემსუბუქებელი; მხიარული და საერთო სიამოვნების გამომწვევი ლხინის დროს. მომღერალი და ლოტბარი, გამართობელი, ტკბილი მოსაუბრე—ყველგან იმედის და გამხნევების შემტანი, ყველასათვის საყვარელი...

ასეთია მკრთალად გადმოცემული სახე გიორგი ლასხიშვილისა ჩემში, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში საერთო მისწრაფებებით და საერთო მუშაობით ვიყავი მასთან მჭიდროთ დაახლოვებული. ვფიქრობ, რომ ასეთი იქნება მოგონება ყველასი, ვისაც კი თუნდაც მცირედი ურთიერთობა ჰქონია განსვენებულთან. მისი პიროვნება ყოველთვის დარჩება როგორც მშვენიერი გამოხატულება კეთილშობილური ქართული ტიპის, გონებრივი და ზნეობრივი ღირსებით შემკულის, თავის ქვეყნის ერთგული და თავდადებული შვილის. თამამად შეგვიძლია—ჩვენს ახალგაზდობას, მოზარდ თაობას მივუთითოთ გ. ლასხიშვილის სახეზე და ვუთხრათ: აი მაგალითი თქვენთვის! და დავსძინოთ, რომ განსაკუთრებით დღეს ღრმად დაიმკვიდრონ თავიანთ გულში გიორგის ანდერძი სიკვდილის წინ: «ბრძოლა ბოლშევიკებს სამშობლოს განსათავისუფლებლად! საქართველო. ცოცხალია—იგი კვლავ თავისუფალი იქნება!»

და თუ დღეს შებორკილმა სამშობლომ დუმილით მიაცილა გიორგი ლასხიშვილის კუბო საფლავამდის, დადგება დრო, მალე დადგება, როცა მადლობელი ერი, დიდის დღესასწაულით აღბეჭდავს მის სახელს თავის უკვდავთა, მარად სახსენებელთა, უსაყვარლეს შვილთა საპატიო დაფაზე!

ს. ფირცხალავა.

დიდი ქართველის სსოგნას.

საქართველოს სოც.-რევოლ. პარტიის სახელით ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამ გიორგი ლასხიშვილის გარდაცვალების გამო. განსვენებული ბევრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივ იყო საინტერესო პიროვნება: დიდი პატრიოტი, მაღალი იდეალისტი, მტკიცე რევოლიუციონერი და სოციალისტი, უსაზღვრო ენერგიით და ხალისით აღჭურვილი დიდი მიზნების განსახორციელებლათ, მხნე, მუდამ მხნე დიდ დაბრკოლებებში, დიდ გაჭირვებებშიც კი, ის იყო ჭეშმარიტი ადამიანი და მოქალაქე. მას სისწორით ქონდა შეგნებული ადამიანის ყოფნის აზრი და დანიშნულება და უკანასკნელ წუთამდე, მიუხედავათ მოხუცებულობისა, საუკეთესო იდეალებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა. გიორგი ლასხიშვილი დიდი დანაკლისია არამც თუ მარტო საქართველოს სოც.-ფედ. პარტიისათვის, არამედ მთელი ერისათვის. მან, ტანჯულმა, ტანჯულ საქართველოში დალია სული, მისი სული შეუერთდა საქართველოსთვის სხვა თავდადებულთა სულებს.

მის საფლავს დღეს ღირსეულათ ვერ დაიტირებს მგლოვიარე ერი, მაგრამ შორს აღარ არის ის დრო, როდესაც გამარჯვებული საქართველო თავდადებულთა საფლავებს მონახავს და მათ ერთ უკვდავ პანთეონს მიუჩენს.

კიდევ ერთხელ მოწიწებით მუხლს ვიყრი განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავათ.

ილია ნუცუბიძე.

———

გ. ლასხიშვილის პანაშვიდი პარიზში.

კვირას აპრილის 19-ს პარიზში გადახდილი იქნა სამოქალაქო პანაშვიდი გიორგი ლასხიშვილის ხსოვნის პატივსაცემლად. Pompe-ის ქუჩაზე კოხტა დარბაზში შავად დაფარულ მაგიდაზე აღმართული იყო განსვენებულის სურათი, ცოცხალი ყვავილებით უხვად მორთული. სურათის წინ გადაფენილი იყო ეროვნული დროშა. დარბაზი გაჭედილი იყო მეგობართა და პატივისმცემელთა მიერ (მთავრობის წევრები, ელჩი, დამფ. კრ. თავმ. ამხ. ექ. თაყაიშვილი, პარტიული მოღვაწეები განურჩევლად მიმართულებისა და სხ.). იყვნენ სომხების, ადერბეიჯანელების და მთიელების წარმომადგენლებიც. კრების თავმჯდომარემ ს. ფიროცხალავამ მოუწოდა დამსწრეთ, ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მიცვალებულის სახელისათვის. ორკესტრმა დაუკრა შოპენის სამგლოვიარო მარში, რომელიც საზოგადოებამ ფეხზე დგომით მოისმინა. თავმჯდომარემ მოიგონა მოკლედ გ. ლასხიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა და დაახასიათა მისი პიროვნება. სიტყვები წარმოსთქვეს ი. ზურაბიშვილმა, კ. ქავთარაძემ და ი. ნუცუბიძემ, რომელთაც მხურვალეთ აღნიშნეს დიდი მამულიშვილის მთავარი ღირსებანი. დასასრულ ორკესტრმა შეასრულა ბეეთჰოვენის მესამე სიმფონიის ნაწილი, რომელიც საუცხოოდ გამოხატავს გლოვას გმირის დაღუპვისათვის.

მივიწყებული საფლავი

მრავალი ძვირფასი საფლავია გათხრილი საქართველოში და აქ უცხოეთში... ბევრი დაუვიწყარი მიცვალებული ჰყავს ქართველ ხალხს თავის მიწაზე და მის გარედ.

მივეჩვიეთ საფლავებს, აღარ გვაკვირვებს სიკვდილი:—გამშრალია მწუხარების ცრემლი.

ვივიწყებთ ტანჯვას:—ერის ბრძოლა, მისი თავდადება ჰფარავს ყველაფერს. ვივიწყებთ სიკვდილს სიცოცხლისათვის.

მაგრამ უცვლელ სახეების აჩრდილები ჩვენთან არიან:—გვახსოვს მათი საქმეები, მათი ბრძოლა საქართველოსათვის,

რადგან ვადასტურებთ ჩვენს ისტორიას, ჩვენს შორ და ახლო წარსულს, რომელიც ქართველი ხალხის მომავალს აპორიერებს, გზას უნათებს. და თუ ძვირფასნი არიან საქართველოსათვის მებრძოლ გმირების ახლად გათხრილი უამრავი ნაცნობი და უფრო მეტი უცნობი საფლავი,—ძვირფასნი არიან, უნდა იყვნენ მაშინ ის ასე ნაცნობი საფლავებიც, რომელნიც მამებს, მასწავლებლებს, გზის მაჩვენებლებს ეკუთვნიან.

ასეთი საფლავი ბევრია:—საქართველოში,—უცხოეთშიც...

მე დღეს მინდა მხოლოდ ერთზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

ლაიფციგის ახლო მდებარე პატარა ქალაკ გერაში, მის ერთ სასაფლაოზე დამარხულია გერმანიაში ომის დროს გარდაცვლილი პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი ლადო დარჩიაშვილი....

მოშორებულმა ოჯახურ კერას, სამშობლოს, რომელიც ასე უყვარდა, მეგობრებს, უცხოეთში დალია სული სახელოვანმა ქართველმა განმარტოებით.

15 წელიწადი გავიდა მას აქეთ... 60-კი მის დაბადების დღიდან... ლადო დარჩიაშვილი დაიბადა 1871 წელს, რამდენადაც ვიცი... ჩემდა სამწუხაროდ არ ვიცი დანამდვილებით, სად დაიბადა ძვირფასი ლადო, მაგრამ ვიცი, რომ იმ მხარეს, საიდანაც გამოვიდა დარჩიაშვილი, ჰქვიან მშვენიერი კახეთი.

ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა და შემდეგ ბელგიაში, ბრიუსელში, უფლების მეცნიერებას.

საქართველოს ისტორიამ, მისმა დიდმა წარსულმა, აწმყოში კი მისმა მშრომელმა ხალხმა ურწია დარჩიაშვილს იდეური აკვანი და, მომწიფებულს, საერთაშორისო იდეალების თეორეტიული გაგება და პრაქტიკული მიღება მათი საქართველოსათვის გაუადვილა.

და როდესაც, ევროპიული ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილი, მდიდარ მაგალითებით და განცდებით დატყვებული, ლადო დარჩიაშვილი სამშობლო მხარეს დაუბრუნდა, ის უკვე გარკვეული პოლიტიკური პიროვნება და მწერალი იყო, რომელმაც იცოდა, რომ ნაციონალური და ინტერნაციონალური ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ, რომ ეროვნული თვითარსებობისათვის ბრძოლა სოციალურ ბრძოლას ხელს სრულიად არ უშლის,—პირიქით. სოციალური ბრძოლა—მოვლენა ინტერნაციონალური, საერთაშორისო ფეხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკიდებს, ვითარდება, მოძრაობს, ირკვევა განსაზღვრულ ტერიტორიალურ, ისტორიულ, კულტურულ და ეთნიურ კალაპოტში, რომელსაც ეროვნული, ნაციონალური ჰქვიან.

დარჩიაშვილის სოციალ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა ჩამოისახა 1894 წ. ეგნატე ნინოშვილის საფლავზე, როდესაც მან, 23 წლისამ, სილიბისტრო ჯიბლაძესთან და სხვებთან ერთად «მესამე დასის» პროგრამმა გადაშალა...

ამ მსოფლმხედველობას გარკვეული ეროვნული ჩარჩო და ქართული სახე «ალიონში» მიეცა, მას შემდეგ, რაც ქართველ სოც. დემოკრატიამ, რომელსაც ლადო დარჩიაშვილი ეკუთვნოდა, მისი შეხედულება ეროვნულ საკითხზე, ამ საკითხის სადისკუსიოდ დასმა დროულათ არ მიაჩნია.

დარჩიაშილი წავიდა პარტიიდან და დაარსა «ალიონი»... ის აღიარებდა, რომ ყოველ სოციალისტურ და დემოკრატიულ შეერთებისათვის აუცილებელია გარკვეული პროგრამული შეხედულება ჰქოდეს ეროვნულ საკითხზე გამომუშავებული. მით უმეტეს სავალდებულოა ეს იმ სოციალისტური პარტიისათვის, რომელიც დამონებულ ერს ეკუთვნის.

ეროვნული საკითხი მისი შეხედულებით არის საკითხი პრინციპის. ასეთი უშველებელი საკითხის ტაკტიკურ საკითხად აღიარება დაუშვებელია. ზოგადი დებულება «ერის თვითგამორკვევის უფლებისა» საკითხს სრულიად ვერ არკვევს, ვერ ხსნის,—პირიქით სდებს, აფუჩეჩებს... და ლადო დარჩიაშვილმა საკითხი ეროვნულ თავისუფლების საპრაგრამოთ წამოაყენა. აქ უნდა ითქვას: ამ საკითხის მის მიერ გაშუქება, გარკვევა ვერ იყო ბოლომდე გაბედულად და გარდაწყვეტით განვითარებული, წერტილ-დასმული.

ეს არ იყო საქართველოს სრული თავისუფლების, სუვერენობის, დამოუკიდებლობის მოთხოვნა. ამას ბევრი სხვადასხვა მიზეზი უშლიდა ხელს.

მაგრამ უკვე საკითხის დაყენების ცდა და მისი ყოველმხრივი გაშუქებისა, სწორედ სოციალისტური და დემოკრატიული თვალსაზრისით იყო მომავლის გზაზე მნიშვნელოვანი მიჯნის დასმა.

რა საჭიროა ვარკვიოთ ეხლა ის, თუ ვინ იყო მართალი... ამის გამორკვევა ისტორიას ვაცალოთ: ის იტყვის ამის შესახებ თავის პირუთვნელ სიტყვას.

და უბედური ლადო:—ის ვერ მოესწრო საქართველოს თავისუფალს, დამოუკიდებელს,—26 მაისს და მის დროშას.

და ბედნიერი: მან ვერ ნახა თავისი თვალებით ამ საქართველოს კვლავ დაპყრობა იმავე მტრის მიერ—ეხლა სოციალიზმისა და მშრომელ ხალხის სახელით,—მისი გაყიდვა მისივე უღირს, მოღალატე შვილების მიერ 30 ვერცხლად,—უმაგალითო დანაშაული, ბოროტება, სისხლის ღვრა, რომლითაც მორწყულია ძვირფას სამშობლოს მიწა.

ორივე შემთხვევაში, რომ ეცოცხლა, ის ხომ—გუშინ და დღეს— მის თანამებრძოლებთან, მის მეგობრებთან, მთელ ქართველ ხალხთან იქნებოდა მის საყვარელ სამშობლოს ორგულების, მტრების, დამპყრობელების წინააღმდეგ...

გერმანია, დიდი ომი, ლაიფციგი და პატარა გერა...

ავადმყოფობა და შემდეგ სიკვდილი მარტოობაში. მავიწყებული ძვირფასი საფლავი...

მახსოვს 1916 წელი ტფილისში, ლადო დარჩიაშვილის სიკვდილის ამბავი რომ მოვიდა... მახსოვს მოწოდება სოც. დემოკ. პარტიის ბელადის, რომელიც ასე უყვარდა განსვეებულს და პანაშვიდი ქართველთის ეკლესიაში, შიგნით და ეზოში სავსე ახალგაზდობით, ტფილისის მშრომელებით, ინტელიგენციით,—მთელი ქართველი საზოგადოებით.

მახსოვს წრფელი მწუხარება მეგობრების და როგორც უკანასკნელი აკორდი გულიდან ამოხეთქილ ხმებისა, დღესაც მესმის კვნესა და გლოვა ლადოს მეუღლის-მეგობრის, ცხარე ცრემლებს რომ ჰღვრიდა მაშინ საქართველოში...

ნუ დავივიწყებთ, მოუაროთ, ვუპატრონოთ ძვირფას საფლავს,—ვუპატრონოთ მანამდე, სანამ საშუალება მოგვეცემოდეს სხვა დაუვიწყარ მიცვალებულებთან ერთად დარჩიაშვილის ცხედარიც საყვარელ სამშობლოს დავუბრუნოთ, მის თბილ მიწას მივაბაროთ...

გავაცხოველოთ მოგონება, გავიხსენოთ ლადო დარჩიაშვილი!..

მ. წულუკიძე.

ბერლინი.

საქართველოს აღდგომისათვის

ქართველ ემიგრანტ ქალებს
ვუძღვნი
მოკრძალებით და სიყვარულით.

ათი წელი—სხვის კარზედ გატარებული, ათას მძიმე ლოდათ აწევს დღეს ქართველ ქალის გულსაც. ნაოჭებმა დასერეს მისი შუბლი, ჯერ კიდევ ახალგაზდას თმა გაუყაჭდა, და დაუსრულებელმა, უხალისო შრომამ და ჩუმმა ცრემლებმა მოხარშეს—დაახრეს მისი ყვავილოვნობა.

რა უხვად ეყარა ეკლები ამ ათი წლის ცხოვრების ბილიკებზედ, რა უწყალოდ იფლითებოდა ქართველი ქალის ნაზი გული ამ მანძილზედ, რამდენმა გაუგონარმა და უსაშინელესმა ამბებმა—შორეულ სამშობლოდან გლოვის ზარებად მის ყურამდე რომ აღწევდენ—შეძრწეს მისი სათნო და სათუთი ბუნება!

მაგრამ გინახავთ თქვენ გატეხილი და დაცემული ქართველი ქალი? გსმენიათ მისგან უიმედობა, ჩივილი და საყვედური? არა, მას საამისოდ თითქოს არც კი ეცალა—და ან ვის უნდა შესჩივლოს, ვიზე უნდა ისაყვედუროს, როცა ყოველ ქართველის უსაზღვრო ტანჯვის და განსაცდელის სურათი თვალ წინ ემლება?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, ის არავის არ ასამართლებს ეხლაც, როგორც ამ ათის წლის წინად, როცა მას ახლად გაწყობილი ქართული ოჯახი ველურად დაურბიეს, როცა საყვარელ კერას მოულოდნელად მოგლიჯეს, და გონება მოუკრეფლად შავის ზღვის ნაპირას უცხო გემში ჩასვეს, უცხო ქვეყნებში გარდასახვეწად. რამდენ უძირო მწუხარებას მოეზიდებოდა ის მაშინ ამ ცივს ტალღებშიდ, რა მდუღარე ცრემლებით სცილდებოდა ის თანდათან საყვარელ სამშობლოს მიწის უკანასკნელ ნაკვთს! მიიმალა მარტის ცივ საღამოს ზღაპრული ბათუმის ნაცნობი ახალ გაზაფხულისათვის აყლორტება და ჩაიძირა ქართველი ქალის მზეც. დაიწყო მისი ნაადრევი, ცივი და სუსხიანი შემოდგომა, შემოდგომა სევდით დატვირთული, უსიცოცხლო, ცრიატი და უსრულებელი, უძირო...

მაგრამ მან მის გვერდით მდგომ, თავჩაქინდრუს, მჭმუნვარე ქმარს საყვედური არ ჰკადრა; არა თუ არ მოაგონა ნებსითი თუ უნებლიეთ ჩადენილი შეცდომები, არც კი ჰკითხა იმის მიზეზი, თუ რად შევხდით ამ კატასტროფას ასე არა საკმაოდ მომზადებულნი?! რაღა საჭირო იყო ეხლა ამგვარები!.. ქალურის ღრმა ინტუიციით მიხვდა, რომ «მტყუანი» აქ მარტო უნწორო ძალთა განწყობილება იყო, ისტორიულ მტრის მლიქვნელობა და შურის ძიება ამირანისადმი, მოულოდნელად ჯაჭვი რომ გასწყვიტა და ატყორცნილ საქართველოს «დიდების» ჰიმნი მთელი ქვეყნისთვის მოეფინა... და გადმოხვეწილ ქალს მოჰქონდა თან დიდი ვარამი და უფრო დიდი ფიალა მოთმინება-ატანისათვის.

არც ეხლა, ამ ათი წლის წამების შემდგომ არა სმენიათ მათ ქმრებს დაღლილობის და სასოწარკვეთილების სიტყვანი. არა... ქართველმა ქალმა იცის, რომ მასაც ისეთივე უფლება აქვს თავისი თავი საქართველოს ღირსებისათვის მებრძოლთა რიცხვში ჩაირიცხოს, და განა დიდის საქმისათვის მებრძოლს დიდი მოთმინება და ატანა არ სჭირია?! და ისიც იტანს ყოველგვარ გაჭივრება-დამცირებას იმ წმინდა დროშისათვის, რომელიც თავის ქმართან ერთად გამოიტანა ტფილისიდან იმ საბედისწერო 24 თებერვალს ღამით, მალულად, რათა მოღალატის ხელი ამ სისოებას არ შეხებოდა. მას შემდეგ მოაქვს ის სათუთის სიყვარულით, დაუღალავი შრომით და ვნებიანის ლოცვით მისი წმინდა აღდგომისათვის...

მწარე შეიქნა მისი ბედი, მაგრამ ის მაინც უტეხი და ამაყია; მეტიც—ის რაინდია თავისი ბედის, მასზე უზომოთ შეყვარებული. «ქართველო დედავ, დედავ ქართლისა...» ესმის მას და ერთბაშად ავიწყდება ათის წლის მანძილზე გაწეული ვაება და დაკოდილ გულის სევდაც მჩატე ხდება. სასოებით შლის ძველ სახარებას, «ქართლის ცხოვრება»-ს და ხელახლა ამოიკითხავს წმინდა, განათებულ სახელებს ქართველ დედათა, რომელთაც თავის თავი დასდვეს სამშობლოსა და ერისათვის და სჯერა, რომ მისი უჩინარი შრომაც მომავალი საქართველოსათვის საჭირო გახდება, რომ ეს წყვდიადიც მალე გაქრება და ქართლის მზე ისევ დიდებით ამოანათებს... ამ რწმენით და სიყვარულით სდგას ის ეს ათი წელია მამაკაცის გვერდით, ულობს და უამებს ღრმა ტკივილებს და არაფერს ითხოვს. ათი წელია მან თავისი თავი დავიწყებას მისცა, მარტო სხვისთვის ცხოვრობს, სხვას ედება ზვარაკად, მარტო სხვათა ტკივილებს თუ გრძნობებს და ერთად ერთი, რაც მას აწუხებს, ესაა შიში, რომ მის გვერდით მდგომი მამაკაცი ამდენ სიდუხჭირეს და წამებას ველარ გაუძლებს, ჩაიკეცება, გატყდება და მტერს ეს «სიმხდალეთ» მოეჩვენება...

... ხანდისხან ქალის ინსტიკტი მეტ ჭეშმარიტებას მეტყველებს, ვიდრე მეცნიერული ჰიპოტეზები და, სწორედ ეს ინსტიქტი იყო, რომ ქართველ ქალს ამ 10 წლის წინად ჩვენი ერის ახალ ტრაგედიის ხანგრძლივობაში არწმუნებდა... ქალს არა, სჯეროდა ემიგრაციის პირველი იმედიანი შეძახებანი—იცოდა რომ ბრძოლა ხანგრძლივი და სასტიკი იქნებოდა, და მან თავიდანვე დაიწყო ახალ მდგომარეობის და მიდამოს ფხიზელი ანალიზი და «ზვერვა». მან მაშინვე უცხოეთში ქართულ ტრადიციების შენახვა-გაგრძელებაზე იფიქრა, ოჯახის, ახალ კერის ქართულის იერით დაფუძნებაზე, შვილების ეროვნულ აღზრდაზე და ყველაზე უწინ კი ეკონომიურ ბაზის შექმნაზე.

ჩუმად, სხვათა დაუხმარებლად ჩაჰყარა ამ ახალ პაწია შენობის საძირკველი და უმძიმეს პირობებში დაიწყო შრომა ქართულის სულის და იდეის შენახვისათვის. არა, მას ვერავინ ეტყვის საყვედურს, ვერ ჰკადრებენ—რომ მეტის გაკეთებაც შეეძლოს, ეს ხომ უსამართლობა იქნებოდა!..

უცხოეთში, უთვისტომოდ, უსახსროდ და უენოდ დაიწყო ღამეების თეთრად თენება: ქარგა, ქსოვა, სჭრა, კერა, რეცხა და აუთოვა. არა რცხვენოდა სამუშაოს ძიების, არც მძიმე და შავი საქმე აშინებდა და უსაზღვროდ იყო ბედნიერი, როცა პატიოსანის შრომით შეაძენ გროშებით შვილების სწავლის ფულს გადაიხდიდა, ოთახის ქირას დროზედ გაასწორებდა და თვის განაწამებ ქმარს თბილ კერას და თბილ ლუკმას არ აკლებდა.

კიდევ მეტიც: მან შესძლო მრავალ მამულიშვილისათვის მზრუნველობის ხელის გაწვდენა და ღარიბულ ლუკმის გაზიარებაც.

და ამას ის ისეთი სიყვარულით, სისადავით ჩადიოდა, რომ მამაკაცისთვის, სრულიად გარეშესთვისაც ეს დახმარება სათაკილო არ გამხდარა.

არც ეს კმარა: ქართველმა ქალმა ძველის ტრადიციის მიხედვით კარგი «დიპლომატობაც» კი გამოიჩინა, ამღვრეული, ატეხილი ვნებანი ემიგრაციის ყოფის სარბიელზე რო დატორტმანებენ, შეაკავა და ოდნავ მაინც დააცხრო. აქ მას ჯერ კიდევ ბევრი გაუგებრობა, წვრილმანობა ეღობება, მაგრამ მისი გული არც აქ ტყდება. ეხლაც ისე, როგორც მრავალ საუკუნეთა გასწრივ ქართველი ქალი მთლიანის, ერთობილის იდეიდან გამოდის და ცდილობს ჯგუფობრიობა, ცალ-ცალკე დარაზმვა, ძაგება, შური და მტრობა დააყენოს და შეანელოს... ის თვისას ღრმა სიყვარულით, უძირო ბუნებით ყველა ამ ჯგუფებს დედობრივად სწვდება, ყველასი ტკივილები ესმის, ყველას გულის ძგერას ჰკითხულობს, ყველასათვის ჰყოფნის სიყვარული—და ხმალს, ძმას ძმაზე რომ ამოუწვდია, თავის ლეჩაქს ახვევს, როგორც ძველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზავებისა და შერაგების ნიშნად სცოდნიათ ქართველ დედებს.

ქართველი ქალის ინტუიცია უშუალოდ მეტყველებს და ამბობს, რომ კიდევ დიდი ხნით აღარ უნდა გაგრძელდეს ჩვენი ტრაგედია, ჩვენი სხვის კარზე ხეტიალი, რომ სუსხიანი შემოდგომა უკვე ზამთარმა შესცვალა, რომელსაც სულ მალე გაზაფხულიც მოჰყვება. ვხედავ—მისი სახე ჭირის ოფლში დაწურულა, და ქარვად ჩამომდნარა, მაგრამ ის მაინც გვიღიმის და გვამხნევებს... მასაც ახსოვს უკვდავი «ვეფხის ტყაოსანი», მის დედას «კარაბადინთან» და «მარხვანთან» მზითევში რომ მოჰყვა ძველად; ახსოვს მუდამ ძველი და ახალი «ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა...»

აი, ამას გვეუბნება ქართველი ქალი ამ ათი წლის თავზედ და ძველებურადა სდგას ერთობის სამრეკლოსთან; ყველას ამხნევებს, ნებას უღვიძებს და განთიშულთ, ურთიერთთან აკავშირებს, რადგან ისიც ისე, როგორც მისი დედები, ძველი ქართველი ქალები, «სადგურია კეთილისა და საუნჯე სათნოებისა...»

მე ვიცი, რომ ამ ჩუმ და დაუღალავ მუშაკთ უტეხი ბუნება აქვთ და თან უცნაური სიამაყე. ვიცი, ისინი შრომისგან დაკორძებულ. დასიებულ თითებს და ცრემლთაგან დასეტყვილ, დამჭკნარ ღაწვებს ქართველურის კოხტა გრაციით მალავენ და შეხვედრისას ცდილობენ სილაღე და სიხალისეც კი გამოაჩინონ. მაგრამ კარგათ ვიცნობ მათ უძირო სიღრმეშიდ სიმების ნაზ თრთოლას და გეუბნებით თქვენ: ქართველ მამაკაცთ—მოხუცთ და ახალგაზრდათ: თქვენთვის, მარტო თქვენთვის მალავს ის შრომით დასერილ თითებს და თვალებზე მოწოლილ ცხელ ცრემლებს!.. თქვენთვის იტანს ის ასე მსუბუქად ყოველგვარ ნაკლებობას თქვენთვის ილიმის მწარე ტკივილების დროს,—რომ თქვენ არ შესწუხდეთ, არ შედრკეთ, რომ თქვენი ისედაც მძიმე ყოფა უფრო არ დაგიმძიმდეთ და მტრის წინაშე ქართველ მებრძოლის სახელი არ გაგაბახოთ.

თქვენთვის, რათა დღიურმა, ოჯახურმა ზრუნვამ მთავარს არ აგაცდინოთ; თქვენთვის, რათა ურთიერთი შეიყვაროთ და გაიტანოთ, ერთობა შეინარჩუნოთ და ეგ ათი წლის წინად წამოღებული დროშა ისევ იქ მიიტანოთ წმინდათ და მისი უდიდებულესობას—საქართველოს სასახლეს თავზედ დაადგათ.

ვიცი, ამ ქალებს მადლობა არ უყვართ, არც ჩემი მოგონება და დაცვა ეჭვირვებათ; მაგრამ ჩემი გული ითხოვს, რომ დღეს მათ მოვეხვიო, დაღარული შუბლი დაუკოცნო და ვუმხილო, რომ მათი ღვაწლი სულ მალე დაფასდება და ისინიც იგრძნობენ შვება სიხარულს, როცა იმათ, ქმრებთან და შვილებთან ერთად, «შეიყვანენ ტფილისა დიდებითა დიდითა და ზარბაზნების სროლითა და ღამესა მას ყველა ქალაქსა იქნების ჩირაღდანი («ქართლის ცხოვრება»).

და ეს ჩირაღდანიანი ღამე იქნება მათი საჩუქარი, მკვდრეთით აღდგომა, რომელიც სამუდამოდ დათურგნავს იმ ცივ და ბნელ ღამეს, რომელიც ჩვენ 24-ს თებერვალს ვნახეთ ამ ათი წლის წინად.

სიდიონ ლეონიძისა.

პარიზი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲬᲘᲜᲔᲗ ᲓᲐ ᲔᲮᲚᲐ

V.

შეცდომა იქნებოდა თუ ვიფიქრებდით, რომ ივანე მრისხანის მრისხანება და მის მიერ შექმნილი სისტემა, მისი პირადი ავათმყოფური თვისებების შედეგი ყოფილიყოს. რომ ეს ასე ყოფილიყო, მაშინ იგი მას თან ჩაიტანდა საფლავში და მოსკოვის სახელმწიფოს მემკვიდრეობით არ გადაეცემოდა.

რუსეთის ისტორიაში დიდ მნიშვნელოვანი მოვლენა არის არეულობის ხანა, რომელიც ბორის გოდუნოვის მეფობით დაიწყო და რომელმაც ათ წელზე მეტი გასტანა. ამ ხანაში მაშინდელი რუსეთის საზოგადოების ყველა კლასები გამოვიდენ ასპარეზზე და გვიჩვენეს თავისი სახე.

ბორის გოდუნოვი ჭკვიანი და გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე იყო. ისტორიკოსების აზრით მან პირველმა განიზრახა რუსეთის გაევროპიელება და ტახტის მემკვიდრე შვილსაც ევროპიულად ზრდიდა. რუსეთის სამეფო ტახტი მან მოხერხებულათ დაიკავა (1603 წ.), მაგრამ მის შესანარჩუნებლათ იმავე ზომებს მიმართა, რომელსაც ივანე მრისხანე ხმარობდა. გოდუნოვსა და ბოიარებს შორის თავიდანვე უკმაყოფილება ჩამოვარდა. ბოიარები ხელისუფლებაში მონაწილეობას მოითხოვდენ, გოდუნოვი კი მას არ უნაწილებდა და აზნაურობას სწევდა წინ სახელმწიფოს საქმეებში. და რომ აეცილებია თავიდან ბოიარების რისხვა, სწერს კლიუჩევსკი, მან შექნა რთული პოლიციური ორგანიზაცია, რომელშიაც მთავარ როლს ბოიარების ხოლოპები (მონები) და ციხეებიდან განთავისუფლებული ქურდები ასრულებდენ. პირველნი აბეზღებდენ თავის ბატონებს, ხოლო მეორენი დაძრწოდენ მოსკოვის ქუჩებში, უგდებდენ ყურს, თუ ვინ რას ლაპარაკობდა მეფის შესახებ და იჭერდენ ყველა მათ, რომელთაც გაუფრთხილებლობით რაიმე აუგი წამოცდებოდა. დაბეზღება და ცილისწამება გადაიქცა საზოგადოებრივ უბედურებათ: აბეზღებდენ ერთმანეთს ყველა კლასები, მათ შორის სამღვდელოებაც, ოჯახის წევრებს ერთმანეთს შორის ლაპარაკის ეშინოდათ, საშიში იყო მეფის სახელის ხსენება, ჯაშუში ასეთებს იჭერდა და მიყავდა პოლიციაში...

ბოლოს ბოიარებმა მაინც თავისი გაიტანეს და გადუნოვი დაღუპეს. საერთო საქმეს ამან არ უშველა. პირიქით იგი კიდევ უფრო აიწეწდაიწეწა: დაიწყო ძარცვა-გლეჯა, შური და მტრობა, ქალაქებისა და სოფლების დარბევა, გაჩნდენ «სამოზვანცები» და მთელი ქვეყანა ანარქიამ მოიცვა. ასეთ დროს რუსეთი წინათ მართლაც არ მოსწრებია. კალაპოტიდან ამოვარდნილი ცხოვრების დაოკება, უცხოელების დახმარებითაც კი (პოლონელები) შეუძლებელი გახდა, საზოგადოება ზნეობრივად დაეცა, ბოიარები, პირადი ანგარებით გატაცებულნი, ხან ერთ «სამოზვანეცს» ემხრობოდენ და ხან მეორეს. ასევე იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეოდა სამღვდელოებაც. წოდებათა შორის დამოკიდებულებამ ბარბაროსული ხასიათი მიიღო. რევოლიუცია, ისტორიკოს რაქკოვის სიტყვით, მარტო ზედა ფენების—ბოიარებსა და აზნაურებს შორის ატეხილ ბრძოლით არ დაკმაყოფილდა. ამოძრავდენ ქვედა ფენებიც—კაზაკობა, გლეხობა და შინაყმები. უკანასკნელი ორი წოდების ბაირახტრობა იკისრა გავარდნილმა ხოლოპმა ბოლოტნიკოვმა, რომელმაც მოუწოდა თავის რაზმს: დახოცეთ ბოიარები, წაიღეთ მათი სასახლეები და წაიყვანეთ მათი ცოლები, დაარბიეთ და გაცარცვეთ ვაჭარი ხალხი, რისთვსაც ბოიაროობას, აზნაურობას და სხვა ასეთ ჯილდოს მიიღებთო. ბოლოტნიკოვის პროკლამაცია მოსკოვშიც გავრცელდა და მთელი ქალაქი შიშის ზარმა მოიცვა. შეშინებულმა ბოიარებმა და აზნაურებმა ერთმანეთს ხელი გაუწოდეს და ბოლოტნიკოვი დაამარცხეს. მაგრამ ისინი ბოლტნიკოვზე ნაკლები ბარბაროსები არ აღმოჩნდენ. «სახელმწიფოს ტერიტორიის მთელი მესამედი, სწერს პროფ. პლატონოვი, მთავრობის ნებართვით გაძარცვეს და გაანადგურეს მეფე ვასილი შუისკის ჯარების სარდლებმა. ხოლო თვით მეფე ტყვეთ ჩავარდნილ აჯანყებულთ ათასობით უსჯიდა სიკვდილსო». (პლატ. «ოჩერკი პო ისტორი სმუტი» გვ. 342).

მკითხველი დამათანხმება, რომ მე-17 საუკ. სამოქალაქო ომის სტილი და პათოსი ძლიერ გავს რუსეთის დღევანდელი სამოქალაქო ომის სტილსა და პათოსს. ბოლშევიკებიც და თეთრგვარდიელებიც საშინლათ გვანან არეულობის ხანის თავის წინაპრებს.

არეულობის ხანასა და ბოლშევიკურ რევოლიუციას აქვთ კიდევ ერთი საერთო ნიშნიბლივი მხარეც, რომელიც მათ ერთმანეთს აახლოვებს. არეულობის დროსაც, როგორც ეხლაც, საზოგადოებრივმა კლასებმა ერთმანეთი გასწყვიტეს, ქვეყანა გაძარცვეს და ააოხრეს, მაგრამ საბოლაოთ გამარჯვებული ბრძოლიდან ვერც ერთი ვერ გამოვიდა. პირველ ხანებში ვითომც გაიმარჯვა აზნაურობამ და საერთოთ «ზემშჩინამ»; მან თავისი მეფე აირჩია და ეროობათა კრების მოწვევა იწყო, რომელსაც პირველი მეფე რომანოვი დიდ ანგარიშს უწევდა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ პირველ ხანებში, თვით ეროობთა კრებაც ხალხის წარმომადგენლობის ფალსიფიკაცია იყო. მერმე კი, როცა მთავრობა მოლონიერდა, იგი მოსპეს და დესპოტიამ სავსებით გაიმარჯვა. ხალხი ამოძრავდა, საზოგადო და სახელმწიფო ცხოვრებაში ჩაერია, მაგრამ იგი ისევ დაბეს და არ აღმოჩნდა საზოგადოების არც ერთი კლასი, რომელსაც თავისი უფლებები დაეცვა და დესპოტია შეეზღუდა, როგორც ამას დასავლეთ ევროპაში ქონდა ადგილი. იგივე ბედი ეწვია რუსეთის რევოლიუციასაც 1917 წელს.

დიდი ისტორიული ფაქტია სტეფანე რაზინის (1667 წ.) აჯანყება, რომელმაც 3 წელს გასტანა. მას გლეხთა ფართო მოძრაობის ხასიათი ქონდა, თუმცა უმრავლესობას კაზაკობა და «ინოროდცები» შეადგენდენ. თვით რაზინი დონელი კაზაკი იყო. მოძრაობას თავიდანვე «უხარულ-უშკუირული» ხასიათი მიეცა. რიზინმა თავიდანვე ასეთი ლოზუნგი გადაისროლა: «ზა გოსუდარია სტაიატ, ა ბოიარ იზვოდიტ», ანუ ბოლშევიკური ენით რომ ვსთქვათ, ძარცვეთ ნაძარცვი. რაზინის რაზმი შეუდგა ძარცვას. რაზინი და პუგაჩოვი ამ მხრით ლენინის წინამორბედნი არიან. რუსის გლეხობამ ოქტომბრის რევოლიუციის დროს იგივ შეგნება და ძარცვის პათოსი გამოიჩინა, რაც რაზინის და პუგაჩოვის დროს და მას წინათ არეულობის ხანაში. მიუხედავათ დიდი მსხვერპლის გაღებისა და ქვეყნის აოხრებისა, გლეხობამ ვერც ერთ ამ მოძრაობის დროს თავისი ეკონომიური და პოლიტიკური პირობები ვერ გაიუმჯობესა. გვეგონა ოქტომბრის რევოლიუციაში იგი მიწას დაეპატრონა, მაგრამ ეხლა აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის; სტალინმა მას ეს უკანასკნელიც წაართვა და როგორც მონები «კოლმეურნეობაში» შერეკა.

მეორეს მხრით კუტეპოვებს ამ დროსაც შესაფერისი წინაპრები აღმოაჩნდათ. «რაზინოველების ქ. სიმბირსკთან დამარცხების შემდეგ, სწერს პროფ. კიზევეტერი, მეფის ჯარის სარდალი თავ. ი. დოლგორუკი გულმოდგინეთ შეუდგა გლეხების მოძრაობის აღმოფხვრას და თვის სამოქმედო ბაზათ გაიხადა არზამასი. აქედან იგზავნებოდა ყველა მიმართულებით აზნაურების კავალერია აჯანყებულ გლეხების დასამშვიდებლათ. თანამედროვეთა გადმოცემით ისინი სადაც კი ნახდენ ხალხს, ყველგან ჩეხავდენ ხმლით. ტყვეები ცოცხალი არ მოყავდათ. კეპავდენ და ახჩობდენ მაშინვე სასამართლოს განჩინების გარეშე. არზამასის გარშემო აღმართული იყო სახრჩობელეები, რომელზედაც ჩამოკიდებული იყო 40-50 კაცი. იქვე ახლოს ჩამწკრივებული იყო პალოები, რომელებზედაც ჩამოცმული იყო თავმოჭრილი და ცოცხლებიც. ზოგიერთი მათგანი 3 დღე ცოცხლობდა. მნახველი უცხოელი აღნიშნავდა, რომ არზამასი ამ დროს ნამდვილ ჯოჯოხეთს წარმოადგენდაო. იმავე უცხოელის გადმოცემით, დასჯილთა რიცხვი გარდა ბრძოლის დროს დახოცილებისა, უდრიდა 11 ათას კაცსო» (კიზევეტერი «რუს. გლეხთა მოძრაობის ისტორიიდან», ჟურ. «კრეს. როსია» №8-9).

აი ასეთი სისხლიანი და ჯოჯოხეთური სახე ქონდა სამოქალაქო ომს თავიდანვე რუსეთში. ეს ველური ინსტიქტი დღესაც საკმაოთ არის გამჯდარი რუსის ერთი ნაწილის ძვალრბილში და მე-18 საუკ. არზამასის ისტორიას დიდის სიამოვნებით განმეორებენ დოლგორუკის დღევანდელი მემკვიდრენი. რუსის მონარქისტების გაზ. «ვოზრაჟდენიეში» თეთრგვარდიელი ოფიცერი ვიღაც ა. ბ. სწერს: «საჭიროა მოვიფიქროთ, თუ როგორ უნდა ვიძიოთ შური ამ საძაგლებზე, და ვიძიოთ ისე, რომ აყმუილდენ არამც თუ მარტო მთელი ქვეყნის კომუნისტები, არამედ თვით დედამიწა გასქდეს ორათ ბოლშევიკების კვნესით. შურისძიება, შურისძიება, შურისძიება გასაწყვეტათ! და აქ კი არა საზღვარგარეთ. იქ, თვით ამ საძაგლების ბუდეში! ამ 12 წლის განმავლობაში ჩემი გული ქვათ გადაიქცაო.»

მე კი მგონია, რომ თეთრგვარდიელის გული «რბილი» არასოდეს არ ყოფილა. ამის დამამტკიცებელია კუტეპოვშჩინა, რომელიც სამოქალაქო ომის დროს იგივე ჩეკა იყო, მხოლოდ ბოლშევიკური დროშის მაგიერ—მეფის დროშა ეჭირა ხელში.

ბაჟი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო ციფრებით

(ცდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობის მიმოხილვისა)

სამთო-მადნო დარგთა შორის არის ორი, რომლის დამუშავება ჩვენში, ცოტათ თუ ბევრად შესამჩნევად ხდებოდა. ეს ორი მადანი არის—ქვანახშირი და სპილენძი.

ქვის ნახშირი, ჯერჯერობით, ორს ადგილს მუშავდება: ტყიბულში და გელათს.

მრმავლისათვის დიდს იმედებს იძლევა ტყვარჩელის ქვისნახშირის მადნები. მათი დამუშავება აქამდინ ვერ ხერხდება, თუმცა დიდი ხანია, რაც ისინი აღმოჩენილია. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ჩვენს მთავრობასთან სერიოზული მოლაპარაკება ქონდა იტალიის ეკონომიურ კომისიას, რომელიც საგანგებოთ იყო ჩამოსული საქართველოში, რათა ეკონომიური კავშირი გაბმულიყო ამ ორ ქვეყანას შორის. ტყვარჩელის მადნების დამუშავება უნდა მომხდარიყო შეერთებულის ძალებით, პარიტეტულს პრინციპზედ წარმოების მართვა-გამგებლობაში. რამდენიმე წლის შემდეგ მთელი სამრეწველო ნაგებობა და მთლად ექსპლოატაცია მუქთად გადავიდოდა საქართველოზედ. შემდგომმა პოლიტიკურმა ამბებმა ხელი შეუშალეს საქ. მთავრობას ამ დაწყებასთან ერთად სხვა ეკონომიური ღონისძიებანიც შემოღებულიყო. ვიტყვით აქვე, რომ საქართველოზედ რუსეთის წითელ არმიის თავზედ დაცემამ და საქართველოს ვერაგულად დაჭერამ ჩაშალა მეორე დიდი საქმეც—ნავთის ექსპლოატაცია შირაქის ველზედ.

სწორედ იმ დროს, როდესაც ბოლშევიკების ჯარი ყუმბარებს ესროდა ჩვენს დედა-ქალაქს, შეკრებილი იყო ტფილისში საინიციატივო ჯგუფი, მათ შორის ცნობილნი ბაქოელი ქართველი ნავთის მწარმოებელნიც. აზრად ქონდათ ექსპლოატაციისთვის მთელი საჭირო კაპიტალი წარედგინათ მთავრობისათვის, რომლის მონაწილეობით უნდა მომხდარიყო შირაქის ნავთიან ადგილების ექსპლოატაცია, დაახლოვებით იმ გვარი ორგანიზაცია, როგორიც უკვე არსებობდა მარგანეცის მრეწველობაში, იმ გამოკლებით, რომ მთავრობის სათანადო ორგანიზმი უშუალოდ იღებდა მონაწილეობას, პარიტეტულს პრინციპზედ, მართვა-ექსპლოატაციაში. ამ სხდომაზედ დამსწრეთ კარგად ეხსომებათ, რომ ოქმი იმ წინასწარი წინადადების, ხელმოწერილი იყო ინიციატორების მიერ სწორედ მტრის ზარბაზნების გრიალის დროს. როგორც სჩანს, ამ კითხვას მიაქციეს ყურადღება ტფილისში. ამაზედ ცოტა დაბლა გვექმნება ლაპარაკი.

დავუბრუნდეთ ქვისნახშირის ექსპლოატაციას.

ტყიბულის და გელათის ქვისნახშირი ვერ არის, მაინცდამაინც, უმაღლეს ხარისხოვანი მადანი; მეტადრე ეს გელათის ნახშირზედ ითქმის. ტყიბულის წარმოება პერიოდულად ვითარდებოდა ხოლმე, მეტადრე იმ ხანებში, როდესაც ნავთის კრიზისი დადგებოდა ჩვენს ქვეყანაში.

1913 წელს სულ დამუშავებული იყო 4.200.000 ფუთი. 1915 წელს 4.500.000 ფუთი. 1920 წელს კი 5.500.000 ფუთამდე ავიდა. 1913 წლის დამუშავებულ ნახშირის ღირებულობა შეფასებული იყო 400.000 ოქროს მანეთად.

სათბობი მასალის საერთო ნაკლებობის დროს რკინისგზის მიმოსვლა ჩვენი საკუთარი ნახშირით ხდებოდა; იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენი ნახშირი საზღვარგარეთ მიმავალ გემებსაც მიჰქონდათ, ან საკუთარი საჭიროებისათვის და ან სტამბოლში გასაყიდათ.

ჩვენმა სპეციალისტებმა სწორედ იმ ხანაში მიაქციეს მეტი ყურადღება თვით ნახშირის ღირსების გამოსწორებას და ცოტა რამ მიღწევანიც მოხდა ამ დაწყებაში.

ტყიბულის მადნების მნიშვნელობა ყოველთვის დიდი იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში და მათი უკეთესად გამოყენება ერთობ აუცილებელია ჩვენთვის. შეიძლება ამ მადნებს ის ბედი ეწიოთ, რაც ინდოეთში მოხდა.

იქაცა აქვთ საკუთარი ნახშირის მადნები, მაგრამ ერთობ მდარე ღირსების. როგორც პ. კრაპოტკინი თავის წიგნში გადმოგვცემს, უმთავრესად ეს გარემოება ყოფილა იმის მიზეზი, რომ ინდოეთში ვერ მოიკიდა ფეხი საკუთარმა ინდუსტრიამ და საქარხნო წარმოებამ. ინდოეთი იძულებული იყო სხვა ქვეყნებიდან (ინგლისიდან) ეზიდა სათბობი მასალა, რაც მას მეტად ძვირად უჯდებოდა. სწორედ ამიტომ ხდებოდა იქ ნელის ნაბიჯით ზრდა საქარხნო მრეწველობისა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დალოცვილ ქვეყანაში ყოველგვარი ნედლი მასალა უხვად მოიპოვება.

აი ამ ჭირის ასაცდენათ თვით ინგლისის კაპიტალი შეეცადა გამოეგონა საშუალება, რომ ინდოეთის ნახშირი გაუმჯობესებულიყო და ბოლოს მიზანსაც საუცხოოდ მიაღწია. ამას შედეგათ ის მოყვა, რომ ამ ჟამად ინდოეთი თავის ნედლ მასალას შინვე ამუშავებს, უმთავრესად, ასე რომ წინანდებურათ აღარ სჭირდება უცხოეთიდან დაბარება მისთვის საჭირო საქონლის. პირიქით, ეხლა თვით ისდოეთმა დაიწყო შინ გადამუშავებულასაქონლის ექსპორტი. ნაწილი ამ ექსპორტის თვით ინგლისშიაც კი საღდებაო, დასძენს კრაპოტკინი.

აი რა შესძლებია ადგილობრივ სათბობ მასალის უკეთესად გამოყენებას.

ამჟამად ჩვენშიაც გრძელდება ცდები ნახშირის გამოკეთებისათვის. უტყუარი ფაქტია უკვე, რომ ტყვარჩელის ნახშირი კოკსაც იკეთებს და ეს კი უდიდესი მიღწევაა.

ის სამადნო ადგილები, რომელიც ტყვარჩელშია აღმოჩენილი, მართალია დეტალურად არ არის გამოკვლეული, მაგრამ, ცოტად თუ ბევრად, სარწმუნოა, რომ იმ ადგილებში 12 მილიარდ ფუთამდე ქვანახშირი მოიპოვება.

ამჟამად კვლევა-ძიება თითქოს აამკარავებს, რომ ეს მდიდარი ბუდე ქვანახშირის არ განისაზღვრება მხოლოდ ტყვარჩელის მიდამოებით; იბადება აზრი, რომ ამ ადგილებიდან დაწყებული ტყიბულის მადნებამდე მთელი ეს არე ერთიან ნახშირის საბუდოებს წარმოადგენს. თუ ეს გამართლდა, საქართველოს ქვის ნახშირის რაოდნობა ბევრად უფრო მეტია მაზედ, რასაც დღემდე ანგარიშობდენ.

მიღებული იყო, რომ მთელს ჩვენს რესპუბლიკაში ქვანახშირის მარაგი უდრის 300 მილ. ტონს. ამ რაოდნობაზედაც რომ შევჩერდეთ ნახშირის მხრივ საქართველო უფრო მდიდარია ვიდრე—იტალია, შვეცია, დანია, საბერძნეთი, რუმინია, პორტუგალია.

—

სპილენძის მადნეულობა ართვინის ოლქში და ბორჩალოს მაზრაში მუშავდებოდა. 1913 წელს ქარხნებში სულ იყო დამუშავებული ქარხნებში 440.000 ფუთი სპილენძი, ღირებული 6.600.000 ოქროს მანეთად.

გადამუშავების დროს გამოსულა:

ვერცხლი 783 გრამი (წითელ სპილ. თითო ტონაზე)
ოქრო 13 გრამი (,, ,, ,, ,,)

სპილენძის ლითონი გამოდიოდა ცხრა ადგილას და 1913 წელს ამოღებული იყო სულ 20 მილიონ ფუთამდე.

ცნობილი ფაქტია, რომ მეფე ერეკლეს ბრძანებით საქართველოს ქათალიკოსის გვირგვინი გამოჭედილი იყო იმ ოქროთი, რომელიც ალავერდის მადნებმა მისცეს საქართველოს.

დღეს ბოლშევიკებმა ალავერდის რაიონი, ბორჩალოს მაზრაში, და ართვინის ოლქი სომხებს და ოსმალეთს გადასცეს...

—

დანაშთენ სამთო-მადნო სიმდიდრეთა შორის (საერთო რიცხვი აქამდინ ანუსხულის ორმოცზედ მეტია და ეს ლითონი გაბნეულია 650 სხვადასხვა ადგილებში), აღსანიშნავია ნავთი, ოქრო, მინერალური წყლები, საამღშენებლო ნივთიერებანი და სულ ბოლო დროს თავი იჩინა ანდეზიტის მადნებმაც. ეს უკანასკნელი ძვირფასი მონაწილეა ქიმიურ ინდუსტრიის, აგრეთვე როგორც საამღშენებლო მასალა (მისგან გამოდის განსაკუთრებითი თვისების ცემენტი). ანდეზიტის საბუდოები ძალიან ნაკლებად მოიპოვება რუსეთის ტერიტორიაზედ. ამითი უნდა აიხსნას, რომ მოსკოვმა სისწრაფით გამოგზავნა თავისი ხალხი სოფ. კობში, სადაცაა ანდეზიტი აღმოჩენილი. გამოანგარიშებული აქვთ, რომ რუსეთი წელსვე ნახავს 10 მილ. ოქროს მანეთის ეკონომიას საქართველოს ანდეზიტის მოხმარებით. თქმა არ უნდა, რომ ხსენებულ მადნების განმგებლობა ჩამოერთვა საქართველოს ხელისუფლებას და იგი გადაცემულია, ამიერკავკასიის ფედერაციის მმართველთა საშუალებით, რუსეთზე...

უტყუარი ნიშნები სამრეწველო მნიშვნელობის ოქროს მადნეულობის ჯერ არ არის აღმოჩენილი. არ უნდა ჩაითვალოს უნიადაგო ფანტაზიათ, რომ ოქრო აღმოჩნდება საქართველოში. ამის თავდებია, გარდა ლეგენდების გადმოცემის, თვით რეალური ნიშნები აქაც ქვიშაში ოქროს მარცვლების აღმოჩენისა. ამჟამად სათანადო კვლევა-ძიებას აწარმოებენ ბორჩალოსა და აჭარაში.

რაც შეეხება ნავთს—მისი არსებობა საქართველოში ეჭვს აღარ იწვევს. დღეს სამი მიმართულებით ხდება ნავთის ბუდოების გამოკვლევა: შირაქში, გურიაში და ნავთლუღში (ქ. ტფილისში). უკანასკნელ ალაგას რომ ნავთი არის, ამას ისტორიული საბუთებიც მოწმობენ. რამდენადაა ამ ადგილებში დაგროვილი სამრეწველო მნიშვნელობის ნავთი—ამას ახლო მომავალში გავიგებთ. გურიაში ჯერჯერობით ცდები ერთ ჭა-ბურღილის საშუალებით ხდება. უკანასკნელი დღეების ცნობით და სპეციალისტების შემწეობით იქ ისეთ ნიშნებს უჩენია თავი, რომ მოსალოდნელია ნავთის შადრევანის გაჩენაც. თუმცა ჯერ ჯერობით, უკანასკნელი სიტყვა არ წარმოთქმულა, მაგრამ სპეციალისტებს ეჭვი აღარ ებადებათ, რომ გურიაში უსათუოდ იჩენს თავს სამრეწველო მნიშვნელობის ნავთი. თუ ეს იმედები გამართლდა, ზღაპრულ სიმდიდრეს შესძენს საქართველოს ზედ ზღვის პირზედ გაცხოველებული ნავთის წარმოება.

რაც შეეხება შირაქის ნავთს, აქ წინასწარი კვლევა-ძიება უკვე მოთავებულია. ამჟამად იქ გაცხარებული მუშაობა სწარმოებს უკვე ფართე მაშტაბით. ამ საქმეს ხელმძღვანელობს «საქართველოს ტრესტი», რომლის მმართველი ცნობილი სპეციალისტი ნესტოროვია. აი როგორის სიტყვებით ახასიათებს შირაქის ველის ნავთის წარმოებას ეს მმართველი:

«14 ახალი ჭაბურღილი. შირაქის ველზე ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ნავთის ახალი სარეწაოების ასაგებათ. პირველი ჭაბურღილიდან, რომლის ამოღებაც იტალო-ბელგიის საკონცესიო საზოგადოებამ დაიწყო, უკვე კარგა ხანია სწარმოებს ნავთის ამოღების ცდები. აღნიშნულ ჭაბურღილში გაჩნდა ე. წ. «პრობკა», რაც გამოიწვია ჭაბურღილის სიღრმიდან გაზების მიერ ამოტანილმა მიწამ. ამჟამად სწარმოებს ჭაბურღილის ამოწმენდა, რის შემდეგაც მოელიან ნავთის ძლიერ შადრევანს... ... ამგვარად პირველი სექტემბრისთვის შირაქის ნავთის რაიონში იმუშავებს უკვე 14 ახალი ნავთის სარეწაო» (გაზ. «კომ.»).

ამ ცნობების მიხედვით შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ სულ მოკლე ხანში საქართველოც ჩაეწერება იმ ქვეყნების სიაში, რომელნიც მდიდარნი არიან ბუნებრივი ნავთის წყაროებით და ნავთის მრავალგვარ წარმოებით (ბოლო დროს ბოლშევიკებმა როგორღაც შეწყვიტეს ინტერესი საქართველოს ნავთისადმი. უეჭველია ესეც მოსკოვის ბრძანებით ხდება)...

—ლი—ვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის მიმოხილვა.

300 მილიონის კრედიტი.

მოსკოვის პრესა ხარობს და საბუთიც აქვს ამისათვის: ბერლინი კიდევ მიეშველა და 300 მილიონ მარკის ახალი, შედარებით, გრძელვადიანი სესხი აღუთქვა სტალინის მთავრობას, საქონლის, უმთავრესათ მანქანების სახით, ხუთწლედისათვის. ამ სესხის 70 პროცენტის გარანტია თვით გერმანიის მთავრობამ იკისრა, ასე რომ მრეწველების რისკი მხოლოდ 30 პროცენტს უდრის, რაიცა ნამდვილათ სულაც არ არის რისკი, რადგან ამ რაოდენობას, თუ არა მეტს, ისინი წაუმატებენ საქონლის ფასს. ამიტომ მრეწველების დელეგაციას, რომელიც დიდის ამბით მიიღეს მოსკოვში, ჰქონდა, თავის მხრივ, საბუთი ქება შეესხა საბჭოთა რეჟიმისათვის გერმანიაში დაბრუნებისას. კაპიტალისტებისა და კომუნისტების ამ შეხმატკბილებას ბერლინის ოფიციალური წრეები იმით ხსნიან, რომ 100 ათასამდე უმუშევარს სამუშაოს გავუჩენთო. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს მოტივი უსაფუძვლოა, მაგრამ იგი არ გვგონია მთავარი, ეს მით უფრო, რომ გერმანია თვითონ განიცდის ფინანსიურ კრიზისს და გაფაციცებით დაეძებს კრედიტს გარეთ. აქ პოლიტიკასაც უძევს თავისი წილი: გერმანიას სურს ერთხელ კიდევ გამოიყენოს რუსული კოზირი დასავლეთთან თამაშის დროს. და ეს თამაში ჩქარა დაიწყება ლონგის გეგმის, განიარაღების, ევროპის ფედერაციის ირგვლივ.

მაგრამ ეს შეხმატკბილება მოსკოვთან ბრიუნინგის მთავრობას კიდევ არ უშლის ხელს თავი დაიზღოს თავდასხმებისგან როგორც მარცხნით, ისე მარჯვნით. მან გადადო რაიხსტაგის სხდომები ოქტომბრამდე და ჰინდენბურგს ცალკე დეკრეტი გამოაცემინა, კონსტიტუციურ თავისუფლებათა შემზღუდველი. საინტერესოა, რომ სოციალდემოკრატიამ კვერი დაუკრა მას ამ არაჩვეულებრივი ზომებისთვის. ეს მომასწავებელია იმისი, რომ გერმანიაში მოწადინებული არიან ალაგმონ მოსკოვის ყმანი-კომუნისტები და მათი მოკავშირენი ჰიტლერის მიმდევარნი. მას შემდეგ, რაც უკანასკნელთა ფრაქციამ დასტოვა რაიხსტაგი, რღვევის პროცესი შეიჭრა მათ რიგებში და ლამის ნაციონალისტ-სოციალისტთა პარტია მთლათ დაიშალოს.

ავსტრო-გერმანიის საბაჟო კავშირი.

ეს კი ნამდვილი ბომბა იყო! გერმანიისა და ავსტრიის საგარეო მინისტრების, კურციუსის და ბრიბერის, შეხვედრა ვენაში, მართალია, ერთგვარ ინტერესს იწვევდა ყველგან, მაგრამ ასეთ შედეგს არავინ მოელოდა. ავსტრო-გერმანიის საბაჟო კავშირი, აი რისი შეკვრა აღუთქვეს მათ ერთმანეთს ოქმში. ბრიანმა მაშინვე განაცხადა სენატში, რომ ეს აქტი არღვევს ავსტრიის მიერ ხელმოწერილ პირობას, რომ ის არ შეეკვრის არც ერთ სახელმწიფოს, რომელსაც შეეძლოს მისი დამოუკიდებლობის შეზღუდვა, ოქმი კი გერმანიას აბარებს მის სვე-ბედს და ეს უკვე მასთან გაერთიანების დასაწყისიაო. კურციუსი უარყოფს ასეთ ბრალდებას და ამბობს. პირიქით, ჩვენ ევროპის ფედერაციას საძირკველი ჩავუყარეთო. დავაში ერევა ჰენდერსონი და წინადადებას იძლევა კითხვა ჟენევაში გადავიტანოთო. გერმანია და ავსტრია თანხმდებიან ამაზე და სამაგიეროთ გერმანიის კანცლერი და საგარეო მინისტრი მაკდონალდმა თავისას მიიწვია ჩეკერში. ბრიანი თავის მხრივ, კონტრ-პროექტს ამზადებს მცირე ანტანტის და პოლონეთის მონაწილეობით იმავე ჟენევისთვის. როგორც ხედავთ, დიდ შეხლა-შემოხლას მოელიან მაისში ჟენევაში და, თუ მოსკოვს დავუჯერებთ, პარიზსა და ბერლინს შორის ხიდი ჩატყდება. ჩვენ არ ვუყურებთ ასე ტრაღიკულათ საქმეს, ავსტრო-გერმანიის ოქმს შეიძლება ის დამსახურება ხვდეს, რომ იგი გახდეს საბაბი ევროპის სახელმწიფოთა მჭიდრო ეკონომიურ თანამშრომლობის მოდუსის შექმნისა.

ისპანიის რესპუბლიკა.

ერთი კვირაა, რაც ისპანიის რესპუბლიკა იშვა თითქო მოულოდნელათ, და დროებითი მთავრობა, შემდგარი სოციალისტთა და რესპუბლიკელთა კოალიციისაგან, დიდის ენერგიით მართავს სახელმწიფო საქმეს. უნდა ითქვას, თვით ხალხიც გასაოცარის დისციპლინით ირჯება, ჯერ ხანად, ყოველ შემთხვევაში. პირველი ორი დღე მთელი ხალხი ქუჩაში იყო, არ უძინია, არ უმუშავია, განუსაზღვრელ სიხარულს ეძლეოდა, მაგრამ, როგორც კი მისცეს ზევიდან ნიშანი, მესამე დღეს, ყველაფერი კალაპოტში ჩადგა: მუშა დაუბრუნდა ქარხანას, გლეხი—გუთანს, ვაჭარი—დახლს და ასე ბოლომდის. ეს უმთავრესად მიეწერება სოციალისტურ პარტიას და პროფესიულ კავშირებს, მათი ლიდერების ბრძნულ გამჭრიახობას. რასაკვირველია, ამ უსისხლო გადატრიალებას ხელი შეუწყო აგრეთვე მეფე ალფონს მე-13 ტემ, რამდენათ მან ჯკუა იხმარა და თავის დროზე გაეცალა ოჯახობით ისპანიის ტერიტორიას.

დიდი გულისწყრომა სუფევდა მის მიმართ ხალხში, მან გასტეხა სწორეთ, ეს რვა წელიწადია, ფიცი კონსტიტუციისადმი, დაეყრდნო პრიმო დე რივერას, და მასთან ერთათ განაგებდა დიქტატორულათ ქვეყანას. გააუქმეს კორტესები ანუ პარლამენტი, თვითმართველობანი, თავისუფლებანი და ქვეყანა ეკონომიურ და ფინანსიურ განადგურების პირზე მიიყვანეს. პრიმო დე რივერა ბოლოს იძულებული შეიქმნა გადამდგარიყო, გარდაიცვალა კიდეც, მაგრამ მისმა მოადგილემ გენერალ ბერანგერმა ვერაფერი გააწყო, ვერ ჩააყენა ქვეყანა ნორმალურ კალაპოტში. დაპირებით კი მისი მთავრობა კონსტიტუციურ უფლებების აღდგენით ამშვიდებდა ხალხს თითქმის ორი წელიწადი. როგორც სჩვევია ძველ რეჟიმს, ის მუდამ აგვიანებს რეფორმებს, და ეს ხანა კი იყო გამანადგურებელი მისთვის, ხალხმა ზურგი შეაქცია მონარქიას და რესპუბლიკაში დაინახა ხსნა.

და ამ დროს მეფის უკანასკნელი, ადმირალ ანსორის მთავრობა ნიშნავს სამუნიციპალო არჩევნებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელს ისპანიაში და პასუხათ იღებს რესპუბლიკანელების ბრწყინვალე გამარჯვებას. ეს კიდევ არ იყო ფორმალურათ რეჟიმის შეცვლა, რადგან ეს უნდა მოეხდინა დამფუძნებელ კორტესებს და მათი მოწვევა ადრევე აღუთქვა მეფემ ხალხს. მაგრამ სწორეთ მაშინ იფეთქა რევოლუციამ, თვითეულმა მუნიციპალიტეტმა, დიდმა თუ პატარამ, ქალაქსა თუ სოფელში, რესპუბლიკა გამოაცხადა და მოხსნა მეფის დროშა. რა დარჩენოდა მეფეს? შებრძოლება ან გაქცევა, მან მეორე ამჯობინა და ერთი მანიფესტიც დაუტოვა ხალხს, რომლის გავრცელებას არც კი შეებრძოლა დროებითი მთავრობა! მეფე იქ აცხადებს, რომ ის არ გადადგება, სანამ ხალხი არ იტყვის ამასო. ესე იგი უცდის დამფუძნებელ კორტესების გადაწყვეტილებას.

დროებითი მთავრობა არ დააყოვნებს, რა თქმა უნდა, კორტესების მოწვევას, მაგრამ ის არ ფიქრობს მანამდე გულზედ ხელდაკრეფილი დარჩეს. პირიქით, ის სცემს დეკრეტებს ყოველ დარგში. უყრის საფუძველს რესპუბლიკას, ამტკიცებს მას და თავის ნამოქმედარს დამფუძნებელს წარუდგენს. ჩვენ ვერ ჩამოვთვლით ამ დეკრეტებს და განკარგულებებს, შემდეგისთვის გადავდებთ, დავასახელებთ მხოლოდ ერთ ლამაზ ქესტს: მეფის წლიური ჯამაგირი 9 მილიონი პენზეტა ფინანსთა მინისტრის განკარგულებით უმუშევართა ფონდში გადავიდა!

ისპანიის ნორჩ რესპუბლიკის წინ ბევრი სიძნელენი სდგას, ცხადია; უძლიერესი არისტოკრატია, ეკლესია, ბიუროკრატია ასე ადვილათ ვერ აიტანს ღირსების ახდას, გლეხობაც ძალიან ჩამორჩენილია და განიცდის ეკლესიის გავლენას, არც მრეწველობაა საკმაოთ განვითარებული, მუშათა კლასი შედარებით მცირერიცხოვანია, მოსკოვის აგენტებმაც უკვე ყვილი მორთეს «ბურჟუაზიულ რესპუბლიკის» წინააღმდეგ...

მაგრამ დროებითი მთავრობა არ ეპუება ამ სიძნელეთ და იღებს სათანადო ზომებს. ერთი მაგალითი: კატალონიის სეპარატიზმი ცნობილია, რამდენი ამბები არ მომხდარა მის დედა-ქალაქში, ბარსელონაში! ეს მოძრაობა მჟიდროთ იყო დაკავშირებული ისპანიის რევოლუციასთან, ბარსელონა იყო, თუ გნებავთ, უკანასკნელის ბუდე. და აი, როგორც კი დაიწყო რევოლუცია, კატალონიამ თავის თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა, პოლკოვნიკ მასსიას მეთაურობით. ყველას ეგონა, რომ მადრიდი და ბარსელონა ერთმანეთს დაეტაკებოდენ ამ ნიადაგზე, მაგრამ მოხდა სულ წინააღმდეგი: ისინი მორიგდენ, შეიმუშავეს დროებითი სტატუტი, რომლის ძალით ბარსელონა უარყოფს ისპანიიდან გამოყოფას და იტოვებს ფედერატიულ უფლებებს. თვით მასსიამაც პრეზიდენტის სახელი გენერალ-გუბერნატორის სახელით შესცვალა!

მთავრობის თავმჯდომარის ავათმყოფობა

ამას წინად მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნოე ჟორდანია მეტად მძიმე ავად იყო—კისერზე რთული ძირმაგარა ჰქონდა. ქართველი საზოგადოება მეტად შეწუხებული დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ავადმყოფობის მიმდინარეობას.

ამ ჟამად შეგვიძლია ყველას გასახარად გამოვაცხადოთ, რომ მთავრობის თავმჯდომარე საკმაოთ მოკეთდა, სრული გამომთელების გზაზეა და იმედია მალე სავსებით გაჯანსაღებული კვლავ დაუბრუნდება თავის ჩვეულებრივ მუშაობას.

გამოსვლები კავკასიაში

კოლექტივიზაციის ნიადაგზე პარტიზანთა მოქმედება კავკასიაში გრძელდება. უკანასკნელ ხანებში აღმოსავლეთ საქართველოს: თელავის, სიღნაღის, დუშეთის მაზრების პარტიზანები გაერთიანდენ და რიცხვით ორიათასი კაცი აწარმოებს ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ. ასეთივე გამოსვლებია ბორჩალოს და ყარაიაზის რაიონებში. აქ პარტიზანთა რიცხვი უდრის ცხრაას კაცს. აზერბეიჯანში: განჯასა, ზეგარსა, შემახასა და ზაქათალაში მოქმედობს ექვსი ათასი პარტიზანი, აჯანყებულები შეიარაღებული არიან ტყვიისმფრქვეველებით. მტრის მხრივ მოქმედობს არტილერია და ჰაეროპლანები.

საქართველოს ამბები

(გაზეთებიდან)

ჩხოროწყუს რაიონში, ს. ლეწურწუმეში მინდვრად მიწის ხვნის დროს გლეხმა ანდრო ესართიამ მიწიდან ამოთხარა ძველთა ძველი ხელობის სამეფო გვირგვინი, შემკული ძვირფასი თვლებით.

— განზრახულია შავი ზღვის რკინის გზა წელს მიიყვანონ ოჩამჩირემდე და მომავალ წელს სოხუმამდე.

— საქართველოს ცენ. აღმას. კომიტეტმა დაადგინა: გურიაში ს. ამაღლობელს დაერქვას ახალი სახელი «გმნახლებული» და ს. ბასილეთს—«ხალისი».

— ტფილისში დიდათ შეფერხებულია პურის განაწილება გასაყიდ პუნქტებს შორის, რაც იწვევს «კუდების» გადიდებას.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ «დამ. საქ.» მე-61 №-ში დაბეჭდილს საგანგებო რაზმის წერილს ნ. რამიშვილის გარდაცვალების გამო შეუერთოთ ჩემი ხელის მოწერაც.

ფოსტის მიზეზით ეს მე თავის დროზე ვერ შევასრულე.

საგანგებო რაზმის ყოფ. თანამშრომელი
ილია ზაბეგალოვი.

ადერბეიჯანის

ეროვნული ცენტრის რეზოლუცია აზერბეიჯანელთა აჯანყების გამო.

აზერბეიჯანის ეროვნულმა ცენტრმა განიხილა სამშობლოდან მიღებული ცნობები და მასალები ხალხის მღელვარების და აჯანყების, რომელიც რამდენიმე თვე მოედო მთელს მხარეს და გამოიტანა დადგენილება:

1. უმთავრესი ენერგია და საორგანიზაციო მუშაობა მიმართოს შინაგან—რევოლიუციონურ ძალების გასაძლიერებლად და აქტიურ მებრძოლ უჯრედების შესანარჩუნებლად.

2. განასხვავოს მოძრაობის სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური და ნაციონალური მიზნები, ჩამოაყალიბოს ისინი ლოზუნგებად და გაავრცელოს მცხოვრებთა ფართო მასებში, რომ ამით ხელი შეუწყოს განმათავისუფლებელ მისწრაფების კიდევ მეტს განვითარებას.

3. გადაჭრილი წინადადება მიეცეს მოძრაობის ყველა მონაწილეს და მამულიშვილს, რომ როდესაც ლაპარაკობენ აზერბეიჯანის დამოუკიდებლობაზე; ამავე დროს ილაპარაკონ დამოუკიდებელ კავკასიის კონფედერაციაზედაც, ვინაიდგან აზერბეიჯანის განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მთელი კავკასიის განთავისუფლებასთან.

4, ეუწყოს მთელ განათლებულ კაცობრიობას როგორც აღმოსავლეთში ისე დასავლეთში ამ გმირულ ბრძოლაზე, რომელიც სწარმოებს არა თანასწორ პირობებში, და მიღებულ იქნას ყოველი ზომა მოწინავე ქვეყნიერების პროტესტის გამოსაწვევად წითელ იმპერიალისტების მხეცობის წინააღმდეგ.

სტამბოლის მონასტერი და რ. ინგილო

(დასასრული)

II. არც სასულიერო, არც სამოქალაქო სამართალი, კანონები და სინდისი არავის ნებას აძლევს, რომ ჩვენ სავანეს გამოედაოს მცირე მამულებზე.

ჩვენი სავანის დაფუძნების დოკუმენტალური აღწერა ვრცელი იქნება; ამიტომ საკმარისათ მიგვაჩნია უმთავრესი რიცხვები მოვიყვანო, რათა მკითხველმა მცირეოდენი აზრი იქონიოს.

მამა პეტრე (ლუკა ხარისჭარაშვილი) დაიბადა ქ. ახალციხეს 20 აპრილს 1818 წელს, მღვდლათ ეკურთხა პეტერბურგში 26 ოქტომბერს 1842 წ. 1857 წლის 30 იანვარს წამოსული არტაან-ბათომის გზით ერთი მოწაფითურთ (ალფონს ხითარიშვილი) სტამბოლში ჩამოვიდა 29 მარტს, მთლათ ღარიბი (900 მარჩილი-პიასტრი დარჩენოდა), მაგრამ ნებისყოფით ძლიერი. სტამბოლიდან პალესტინაში წავიდა და იქიდანაც ვენეციაში, სადაც დაჰყო 21 თვე, დაბეჭდა ქართული წიგნები და გამობრუნდა ისევ სტამბოლში, სადაც მოვიდა 1859 წლის 7 მაისს.

მამა პეტრეს სამი სხვა მოწაფე მიემატა: იოსებ მამუკაშვილი, ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი) და სტეფანე გიორგაძე. 16 ნოემბერს 1860 წ. რომში თხოვნა მისცა. კარდინალ ბარნაბომ, მაშინ პროპაგანდის უმფროსმა, 15 იანვარს 1861 წელს მოსწერა სტამბოლში პაპის დელეგატს, მონსინიორ ბრუნიონის, რომელმაც იმავე წლის 10 თებერვალს მამა პეტრეს ახალ საზოგადოებას იურიდიული არსებობა მიანიჭა. ამ დროს მ. პეტრეს 300 ფრანკი (150 მან.) ჰქონდა სალაროში. ამ იურიდიულ არსებობას ვერ მიიღებდა მ. პეტრეს ახალი პატარა საზოგადოება, მას რომ არ ჰქონოდა სამონასტრო ადგილი. არქივიდან სჩანს, რომ ერთ კეთილ-მყოფელს შეეწინა 1230 არშინი მიწა ბინის და სამლოცველოს აღსაშენებლათ. ერთი ძირითადი ეკლესიური კანონია, რომელიც მხედველობაში უნდა იქონიოს მკითხველმა. ყოველივე სასულიერო საზოგადოების წევრის შეძენილი კოლექტიურათ თუ პიროვნულათ, საზოგადოებას ანუ კოლექტივს ეკუთვნის. მ. პეტრემ თავისი მოწაფებითურთ, თავის საზოგადოებისათვის სამჯერ მეტი მიწა შეიძინა ფულით თავიანთი ბინის აღმოსავლეთით და დასავლეთით. ამის შემდეგ მ. პეტრემ, როგორც დამწყებმა და უმფროსმა, ყველა გაუგებრობის ასაშორებლათ, 4 თიბათვეს 1863 წელს დასწერა პირველი ანდერძი, სადაც ვკითხულობთ: «... (ფრანგულიდან სიტყვა სიტყვით თარგმანი ჩვენია) მონასტერი და სამლოცველო თავიანთი მიწებით, აგრეთვე შემოსავალი მათი, და ყველა ქონილი უძრავ და მოძრავ ქონება, რომელთაც შევიძენ ჩემს ცხოვრებაში, და რომლებიც დარჩებიან ჩემი სიკვდილის შემდეგ, მიეკუთნებიან ყველა ზემოთხსენებულ ბერებს, კათოლიკე ქართველებს, მონათა უმანკოთ ჩასახულისა, რის შედეგათ არც ჩემთა ნათესავთა, არც ქართველ ერსა, არცა არავის სხვა პიროვნებას არ ექნებათ უფლება დავა გაუწიონ ზემოთ-ხსენებულ ბერებს, არცა გამოიტაცონ რაიმე მათგან».

მ. პეტრეს დაუღალავი ენერგიით, მის მოწაფემღვდლების დახმარებით, მჭიდრო ცხოვრებით ახალი საზოგადოება გაიზარდა რიცხვით და ქონებით. ანდერძის შემდეგ, 26 თიბათვეს 1863 წელს გაგზავნილი წერილის საპასუხოთ, რომმა, 30 იანვრის (1864) წერილით, ეპარქიულ დამტკიცების შემდეგ თავისი პირველი საფეხურის დამტკიცება მიანიჭა ჩვენს საზოგადოებას.

ძველი მიწერ-მოწერა 1866 წლიდან დაწყებული გვიჩვენებს, რომ მოლოზნების სავანის დაარსებისათვის მ. პეტრეს მეტი ცდა დასჭირებია. 1869-ში უკვე კაი ჯგუფია სამოლოზნო ქართველ მანდილოსნებისა. კათოლიკე ეკლესიის Jus Canonicum-ის მიხედვით დედათა სავანეები ეპარქიის უმფროსებზედ არიან დამოკიდებულნი, თუ კი რომელიმე დამოუკიდებელ ორდენს არ ეკუთვნიან. ეპისკოპოსი ნიშნავს ზედამხედველათ და მრჩეველათ იმ სასულიერო მოძღვარს, რომელიც მას სურს. ასე ნორმალურად სტამბოლის ქართ. კათოლ. მოლოზანთა სავანეც პაპის წარმომადგენელს ექვემდებარება. ზემოთაც ვსთქვით, რომელიმე მონასტრის დაარსებას ეკლესია არ დაუშვებს, თუ ბინა და საცხოვრებელი არაა აღმოჩენილი. ამიტომ, მ. პეტრემ როგორც ბერებისთვის, ისე მოლოზნებისთვის იზრუნა იმ ზომაზედ, რომ მოყოლებული მაინც 1869 წლიდან, მოლოზნების იურიდიული არსებობა საეკლესიოთ აღიარე-

ბული იქმნა 9 მკათათვეს 1871 წ. ვინ არ იცის, რომ მამათა სავანემ მაშინ დაუთმო ქართ. მოლოზნებს საკუთარი ადგილი, რაზედაც მ. პეტრემ და მისთა მოწაფეთ მიმდევრებმა გააშენეს მოლოზნებისთვის საკუთარი ბინა და სასწავლებელი, რომლებისათვის იმ დროიდან მოყოლებული ხარკსაც კი ჩვენ ვიხდით. დამწყობმა მეტიც ჰქმნა: მოლოზნებს წესდებულებაში ჩაუწერა და მამათა სავანესაც დაავალა, რომ დედათა სავანე ბერებს უნდა ერჩინათ ათიდან თუთხმეტ წლამდე, რომლის ვადის შემდეგ მოლოზნებს თავისით უნდა ეცხოვრათ. მამათა სავანემ იმ თავიდან 15 წელიწადი კი არა, არამედ სხვა 20-23 წლის განმავლობაში იტვირთა მოლოზნების კვება და აღზრდა. 1903-1904 წლებში მოხდა საზრდოს მიცემის შეწყვეტა, პაპის დელეგატის უწყების შემდეგ, რომელმაც ბრძანებაც კი გამოსცა, რომ მამათა სავანის წინამძღვარი აღარ უნდა ყოფილიყო მოლოზნების ხელმძღვანელი. მოლოზნებმაც იმ დღიდან აღარ ისურვეს თავიანთი ნებაყოფლობით ჩვენ სავანესთან მეგობრული ურთიერთობა და კავშირი და იყოლიეს ყოველთვის უცხო მოძღვარი დამრიგებელათ და მრჩეველათ. აჰა სულ მარტივათ ისტორია.

საკითხი ოდნავ ბნელათ დარჩება, თუ არ დაუბრუნდით მ. პეტრეს შეხედულობას მონასტრის მამულზე. მ. პეტრე გულუბრყვილო არისო, ამბობს ბ. ინგილო. სწორეთ მაშინ, როდესაც ქართ. კათოლ. მოლოზნების საზოგადოება ფაქტიურათ არსებობდა, მათი წესდება დამუშავებული და წარდგენილი და დღიდან დღეზე მოლოზნების იურიდიულ არსებობის დაპირებული აფიციალურ გამოცხადების მოლოდინში იყო პაპის წარმომადგენელის მიერ. მ. პეტრემ დასწერა მეორე ანდერძი. ოთხი დღის შემდეგ. 6 ნოემბერს 1869 წელს ეს ანდერძი წარუდგინა მან ეპისკოპოსს მონსინორ ანტონი-იოსებს, რომელმაც როგორც პაპის ელჩმა შეამოწმა. განა დამწყობმა და პაპის დელეგატმა დაივიწყეს მოლოზნების უფლება და სამართლიანობა? ამის შემდეგ დამწყობმა კიდევ 21 წელიწადი იცხოვრა და არას დროს არ მოაგონდა თავისი ანდერძის შინაარსი? ამ შეკითხვებს ინგილომ გასცეს პასუხი.

მ. პეტრემ ესეც არ იკმარა. მის ანდერძს ეკლესიურათ იურიდიული ძალა ჰქონდა; საკმარისი კი არ იყო სამოქალაქო ხელისუფლების წინაშე. ამიტომ თერთმეტი თვის შემდეგ 10 აგვისტოს 1870 წელს, მეორე ანდერძი თავისი ხელით დაწერილი, თვითონვე გადასწერა სიტყვა სიტყვით და იმავე დღეს შეამოწმებინა სამოქალაქო ხელისუფლების კანცელარიაში. ეს ორივე ანდერძი შინაარსით არ განსხვავდება 1863 წლის ანდერძისაგან. აი აქაც რას ვკითხულობთ იტალიურ ენაზე, რომელსაც მკითხველისათვის სიტყვა სიტყვით ვსთარგმნით: «.... რადგანაც, როგორც ზემოხსენებული მონასტერი, სამლოცველო და სანოვიციატო თავიანთი ადგილით (მიწით), ისე კიდევ შეძენილი შემოსავალნი თუ იგივე კრებულის მიერ, თუ ჩემ მიერ, და ყოველი ჩემი ქონილი მოძრავი და უძრავი, რომელთაც შევიძენ ჩემს სიცოცხლეში, დარჩებიან და ეკუთვნიან ყველა, ჩემი სიკვდილის შემდეგ, ზემოთ ხსენებულ კათოლიკე ქართველ ბერებს. ამიტომ არც ჩემ ნათესავებს, არც ქართველ ერს, არც ერთ სხვა რომელიმე პირს არ ექნება უფლება უქმნას დავა ზემოთ ხსენებულ საკუთრებებზე ხსენებულ ბერებსა, ანუ წარიტაცოს ერთი რომელიმე ნაწილი მათი. ეს არის ჩემი უკანასკნელი და უცვლელი ნება, რომელიც მე გამოვაცხადე აქ და მინდა რომ ყოველი საგანი როგორც აქ დაწერილია, იქმნას მარად ასრულებული».

ასეთი ანდერძი გულუბრყვილოთ დაწერილი რომ არ არის, ინტერპრეტაცია არ სჭირდება. რომ მისი სისრულეში მოყვანით ჩვენ უსამართლონი არ ვართ, ყველასათვის ნათელია. ვერც წარმოგვიდგენია, რომ ვინმემ დავა დაგვიწყოს. ჯორებს და მითქმამოთქმას ვერ გავყვებით და არც არავის ნებას მივცემთ, რომ გადაუდგეს სიმართლეს და მსჯელობას, დაგვწამოს ქონების უსამართლოთ მისაკუთრება და რაც უფრო დაუშვებელია, პრესის გზით ქართველი საზოგადოება შეაცდინოს და ააღელვოს ჩვენს წინააღმდეგ.

იმ თავითვე გარკვეული იყო ბერების და მოლოზნების ქონება. დამწყობმა რაც მისცა, ამათ დღესაც უდავოთ უკავიათ. ანდერძის შემდეგ ოც წელმა განვლო, მიიცვალა 1890 წ.. მ. პეტრეს შეეძლო ანდერძი შეეცვალა, ან მეტი მიეცა მოლოზნებისთვის. ბერებმა მისი სიკვდილის შემდეგაც ბევრი შეიმატეს. ყველა ეს მამულები დიდ ომამდე კერძო პირზე იყო დამტკიცებული, რადგან ოსმალეთში ვახუპის კანონების ძალით სხვანაირათ არ შეიძლებოდა. ხოლო კერძო პირები აცხადებდენ, რომ იგინი სახელის მიმცემნი იყვნენ და მამული კი არც მათი და არც მათი ჩამომავლობისა, არამედ ქართ. კათ. ბერების ფულით ნაყიდი და ამათი საკუთრებაა. ყველა ეს აქტები ექვსი წლის განმავლობაში ჩემს ხელში იყვნენ და ახალი კანონების მიხედვით, ოსმალეთის მთავრობის მიწათა სამინისტროში წარდგენილი, რის გამოძიების და განხილვის შემდეგ თითქმის ყველა მამული ჩვენ ქართველ კათოლიკე ეკლესიის სახელობაზეა დამტკიცებული. არც მიწების ნასყიდობაში, არც კერძო აქტებში არსად არც ეწერა და არც ჩანდა, რომ ეს მამულები შემოწირულნი იყვნენ, ანუ კიდევ ეკუთვნოდნენ ბერებსაც და მოლოზნებსაც. წინააღმდეგი რომ აცდილიყო, მთავრობა გაარჩევდა და გაჰყოფდა. ისედაც ჩვენ გვაქვს საბუთები და ანგარიშები, რომლებიც ნათელ ჰყოფენ თვითეული ვისი თანხით, ვისგან და ვისთვის არის ნაყიდი. ზოგიერთი მამულის ვალი დღესაც გასტუმრებული არ არის სრულიად. მოლოზნების მამულები და აქტები კი დღესაც მათ ხელშია. ჩვენ ამ საკითხის სინამდვილეს სხვანაირათ ვერ წამოვაყენებთ, რადგან საბუთი მრავალი და ნათელია. ანდერძის, აქტების და ანგარიშების გარდა თუ კიდევ არსებობენ სხვა, ეგრეთ წოდებულნი «შემოწირულებათა აქტები», გვიჩვენონ. ამას ვთხოვთ, ვავალებთ ჩვენ გამკიცხველ მოსამართლე ინგილოს და საჯაროთ წინდაწინ ვპირდებით მას, რომ არ გამოვეპატრონებით შემოწირულ მამულებს.

ბ. მალვა ვარდიძე.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.